# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 21 ნოემბერი. 2022 წ. №177 (9515) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


# თქვენგან განსხვავებით ჩვენ ვემსახურებით საქართველოს!



## პრემიერ-მინისტრის მთავარი გზავნილები პარლამენტის ტრიბუნიდან

**როგორც ვიცით, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ინტერპელაციის წესით პარლამენტის წინაშე სიტყვით წარდგა. რა იყო მთავრობის მეთაურის ძირითადი გზავნილები:**

● თქვენგან განსხვავებით ჩვენ ვემსახურებით საქართველოს!

● ჩვენ ყველა ქვეყანას ვცემთ პატივს, მაგრამ ყველაზე მეტად ჯერ ჩვენი ქვეყანა გვიყვარს.

● ასეთი დასუსტებული, დაქსაქსული, დეგრადირებული რადიკალური ოპოზიცია არ მინახავს, 10 წელია.

● კანდიდატის სტატუსი, რა თქმა უნდა, არის მნიშვნელოვანი, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანი არის ჩვენი ქვეყნის გაერთიანება.

● შესაძლოა, ჩვენს პარტნიორებთან გვქონდეს გარკვეული განსხვავებული შეხედულებები, მოსაზრებები, ეს ბუნებრივია, ვინაიდან ჩვენ ვართ სუვერენული სახელმწიფო და რაც ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს სჭირდება, ჯერ ის უნდა გავაკეთოთ.

● ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან გვაქვს წარმატებული თანამშრომლობა, განხორციელებული გვაქვს ძალიან ბევრი პროგრამა, პროექტი ერთად და, რა თქმა უნდა, ეს თანამშრომლობა გრძელდება, მე როგორც მთავრობის მეთაური ყველაფერს ვაკეთებ და გავაკეთებ, რომ ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო გავაძლიერო.

● დამთავრდა ის დრო, როცა ჩვენ უნდა შევასრულოთ ქვეყნისთვის საზიანო დირექტივები.

● ჩვენ ყველას მოვუსმენთ, მაგრამ... რაც ჭირდება ჩვენს ქვეყანას იმას გავაკეთებთ.

● ასევე მიუღებელია, როცა უცხო ქვეყნების ხელისუფლების მოქმედი თუ ყოფილი წევრები თავს ესხმიან ჩვენი ხელისუფლების მოქმედ თუ ყოფილ წევრებს.

● ომის პარტია მზად იყო და დღესაც მზად არის, ხელი მოაწერონ ქვეყნის პოლიგონად გადაქცევას.

● ჩვენი მთავარი ოცნება და მთავარი საზრუნავი უნდა იყოს ქვეყნის გაერთიანება.

● ქვეყნის გაერთიანების გარეშე როგორ წარმოგიდგენიათ ჩვენი მომავალი?

19.XI.2022 წ.







# ვინ წყვეტს საქართველოს მომავალს ③ პარლამენტში?

**როცა პარლამენტი მოსახლეობის საჭიროებებს არ პასუხობს...**

# „ნაციონალობა“ არის საზღვარგარეთული ბნელი ძალების დასაყრდენი... ⑥

# დიდი ჯარიმები ⑤ და დიდი ცდუნება

**შევძლებთ თუ არა ფარმაცევტების მადის მოთოკვას?**



# ნეოლიბერალიზმი საკაცობრიო უბედურებაა, იგი უნდა დასამარდეს! ④

# ზამთარში უშუქოდ დარჩენა არ გვემუქრება ⑤

ენგურჰესის ჩანაცვლება მოხდება თბოელექტრო-სადგურებით და იმპორტით

# ამერიკის პრეზიდენტები - ბრწყინვალე და ნაკლებად ბრწყინვალე გონებით ⑧



# რევაზ მორგოშია - პატრიოტი, მშენებელი, მკვლევარი ⑦



**უშიში, ვითარცა უხორცო!..**

# ოპოზიციის გადარჩენა მხოლოდ კლოუნ ხაბეიშვილის თავმჯდომარედ არჩევას შეუძლია!



პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის დასკვნითი სიტყვა პარლამენტში

**მე მინდა ყველას მადლობა გადაგიხადოთ.**

**აქვე, არ შემიძლია არ ვთქვა კიდევ ერთხელ, რომ ჩვენი არაერთგზის მცდელობისა, რამენაირად შეგვეცვალა ჩვენი რადიკალური ოპოზიციის ეს ანტისახელმწიფოებრივი, მტრული დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის მიმართ, ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს არის უტოპია, და ყველა ჩვენი მცდელობა დასრულდა უშედეგოდ. ამიტომ, რა თქმა უნდა, მე, ყოველგვარი ემოციებისა და ენერგიის დახარჯვის გარეშე, ვაცხადებ, რომ არ ვაპირებ თქვენ გიპასუხოთ სათითაოდ, იმიტომ, რომ თქვენს დემაგოგიას და თქვენს სიცრუეს, თქვენს ცილისწამებას და თქვენს ფარისევლობას ჩვენ ვუპირისპირებთ სიმართლეს, და სიმართლე არის ერთი, სიმართლე არის შემდეგი, რომ ჩვენ, თქვენგან განსხვავებით, ვემსახურებით საქართველოს. თქვენ მინდა დაგისვათ კიდევ ერთი კითხვა, გააცნობიეროთ კიდევ ერთხელ, თუ ვის ემსახურებით. ასეთი დასუსტებული, დაქსაქსული, დეგრადირებული რადიკალური ოპოზიცია მე არ მინახავს ათი წელია, ისევე, როგორც „ქართული ოცნება“ — ასეთი ერთიანი და ერთ მუშტად შეკრული, რაც არის საწინდარი და საძირკველი ჩვენი ქვეყნის განვითარებისა.**

**თქვენ ერთადერთი ხსნა გაქვთ, ოპოზიციის წარმომადგენლებო, რომ აირჩიოთ კლოუნი ხაბეიშვილი თავმჯდომარედ.**

**დიდი გამოწვევაა, მაგრამ ეს არის თქვენი ხსნა.**

კიდევ ერთხელ, მინდა ჩემი განმარტება გავაკეთო სტატუსის მნიშვნელობის თაობაზე და ასევე ვისაუბრო ჩვენი ქვეყნის გაწევრიანების პერსპექტივაზე. ამას გარდა, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ კარგად გვესმის, რომ ჩვენი რადიკალური ოპოზიცია მიზანმიმართულად ცდილობს, რომ წარმოაჩინოს საზოგადოებისთვის სიტუაცია იმგვარად, თითქოს სხვა საკითხი, სხვა დღის წესრიგი ჩვენ არ გაგვაჩნია. სტატუსი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის გაერთიანება, რომელზეც ეს ადამიანები არ საუბრობენ და რომელთა ბრალია, პირდაპირ უნდა ითქვას, ჩვენი ქვეყნის 20 პროცენტის ოკუპაცია. მათი უგუნური პოლიტიკის შედეგია. მათ ვერ დაიცვეს ჩვენი ქვეყანა, რამაც განაპირობა დროებითი ოკუპაცია და ჩვენი ტერიტორიების ეგრეთ წოდებული აღიარება რუსეთის მხრიდან. ასევე, მინდა რამდენიმე გამომსვლელს გამოვეხმაურო და ძალიან მოკლედ ვთქვა, რომ ჩვენ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან, რა თქმა უნდა, გვაქვს თანამშრომლობა არაერთი მიმართულებით, იქნება ეს აშშ თუ ევროპის სახელმწიფოები. გვაქვს ძალიან ბევრი წარმატებული საქმე, პროგრამა და პროექტი განხორციელებული ერთად და, რა თქმა უნდა, ეს თანამშრომლობა გრძელდება. რა თქმა უნდა, მე, როგორც მთავრობის მეთაური, ყველაფერს ვაკეთებ, რომ ეს კიდევ უფრო მეტად გავაძლიეროთ. შესაძლოა, ჩვენ გვქონდეს პარტნიორებთან გარკვეული განსხვავებული მოსაზრებები, შეხედულებები, ეს ბუნებრივიც არის, ჩვენ ვართ სუვერენული სახელმწიფო და რაც ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს სჭირდება, ჯერ ეს უნდა გავაკეთოთ... ჩვენ ყველა ქვეყანას ვცემთ პატივს, მაგრამ ჯერ ყველაზე უფრო მეტად გვიყვარს ჩვენი ქვეყანა. ჯერ ჩვენს ქვეყანაზე უნდა ვიზრუნოთ, იმაზე უნდა ვიფიქროთ, რა სჭირდება ჩვენს ქვეყანას ამ მოცემულ დროსა და მომავალში.

**რამდენიმე დეპუტატის გამოსვლიდან შემდეგი დასკვნა შემიძლია გამოვიტანო, რომ, რა თქმა უნდა, დიდი განსხვავებაა ჩვენ შორის, ჩვენსა და რადიკალურ ანტისახელმწიფოებრივ ძალას შორის, — რაც მათთვის არის უცხო, ის ჩვენთვის ორგანულია, ბუნებრივია. ჩვენ ჩვენი საქმით ვამტკიცებთ, რომ ვემსახურებით ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. დამთავრდა დრო, როდესაც ჩვენ უნდა შევასრულოთ ქვეყნისთვის საზიანო დირექტივები. ყველას მოვუსმენთ, მაგრამ რაც ჩვენს ქვეყანას სჭირდება, იმას გავაკეთებთ.**

ჩვენ ჩვენს უცხოელ პარტნიორებს, მეგობრებს დიდ პატივს ვცემთ და კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ მიუღებელია ერთმანეთისთვის შეურაცხყოფის მიყენება, ისევე როგორც მიუღებელია, და მე არასოდეს მომისმენია რადიკალური ოპოზიციის წევრების შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ როცა, მაგალითად, ყოფილი თუ მოქმედი წევრები სხვადასხვა სახელმწიფოებისა თავს ესხმიან ჩვენი ხელისუფლების, ქვეყნის წარმომადგენლებს, მოქმედ თუ ყოფილ წევრებს, ეს, რა თქმა უნდა მიუღებელია, მაგრამ აქ სად არის ეროვნული ინტერესები, სად ჩანს, რომ ეს ადამიანები იცავენ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს?! პირიქით, ესენი ემსახურებიან მტრულად განწყობილი ადამიანების ჯგუფების ინტერესებს.

ომის პარტია შემთხვევით არ ვუწოდეთ რადიკალურ ოპოზიციას.

**მათი მთავარი ამოცანა იყო და არის სწორედ ქვეყანაში მეორე ფრონტის გახსნა და მზად იყვნენ და არიან მოაწერონ ხელი ქვეყნის პოლიგონად გადაქცევას. ჩვენ ეს კარგად ვიცით და მე ჩემს წინა გამოსვლაში გარკვეული მტკიცებულებები წარმოგიდგინეთ.**

ჩვენ, ჩვენმა მეგობრებმა გამოსვლებში ახსენეს, რომ ჩვენ შევძელით მართლაც უპრეცედენტო, ხანგრძლივი მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარება ქვეყანაში, რაც არის საწინდარი იმ კეთილდღეობის, რომელიც მოიტანა „ქართული ოცნების“ მმართველობამ. სად ვიყავით, აღარ გავიმეორებ, ყველას კარგად გახსოვთ, პირველ რიგში, ჩვენს მოქალაქეებს.

გარდა იმისა, რომ შევძელით და თავიდან ავირიდეთ ის მტრული, ბინძური პროვოკაციები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდებოდა ქვეყნის განადგურების მიზანს, და მთავარი განზრახვა სწორედ ამაში იყო, ჩვენ მოვახერხეთ, რომ გვაქვს ძლიერი ეკონომიკური ზრდა. მინდა კიდევ ერთხელ ჩვენი თანამოქალაქეებისთვის განვმარტო, თუ რას ნიშნავს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა. მუდმივად აპელირებენ და სპეკულირებენ იმით, რომ თითქოს ეს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა არის გამოწვეული ომით და ჩვენ ვსარგებლობთ, და მხოლოდ ეს ფაქტორი არის განმაპირობებელი დღევანდელი კარგი ეკონომიკური მდგომარეობისა. ეს ასე არ არის, მეგობრებო. მინდა პირველ რიგში შეგახსენოთ ყველას, რომ შარშან, თებერვალში, როცა მე გავხდი პრემიერ-მინისტრი, მას შემდეგ ჩვენ საკმაოდ მტკივნეული გადაწყვეტილებების მიღება მოგვიწია, რისკიანიც, ხშირ შემთხვევაში, მაგრამ კარგად გააზრებული. ვიცოდით, რას რა მოჰყვებოდა. საბედნიეროდ, ჩვენმა გათვლებმა გაამართლა. და შარშან წელი დავხურეთ 10,5%-იანი ეკონომიკური ზრდით, რამაც მოგვცა საშუალება, რომ გაგვეზარდა პენსიები, ხელფასები, ჩაგვედო მეტი თანხები ინფრასტრუქტურაში და ა.შ. წელსაც, მიუხედავად ამ ურთულესი გეოპოლიტიკური მდგომარეობისა, ამ ადამიანებს უბრალოდ, არ ესმით ან კარგად ესმით და ეს კიდევ უფრო მეტი დანაშაულია, ასეთი გამოწვევა არ ყოფილა მეორე მსოფლიო ომისა და ცივი ომის დასრულების შემდეგ, მსოფლიო დგას ბირთვული ომის საშიშროების წინაშეც კი. დაბრუნდა ბირთვული ომის რიტორიკა, რაც ყოვლად დაუშვებელია, და ჩვენ ეს კარგად უნდა გვესმოდეს, თუ რამხელა საფრთხეები და რამხელა რისკები ახლავს ამ ყველაფერს. უკრაინის ტერიტორიის 20% დღეს პოლიგონად არის გადაქცეული. კარგად ვხედავთ, რაც ხდება. ამ ომის გამჩერებელი არავინ არის. ასეთ ვითარებაში უპასუხისმგებლო მოქმედება არის ღალატის ტოლფასი ნებისმიერი სახელმწიფოს მხრიდან. შეხედეთ ევროპის სახელმწიფოებს, ნატოს წევრ სახელმწიფოებს, როგორ მოქმედებენ, — ჯერ იცავენ საკუთარ ეროვნულ ინტერესებს და შემდეგ სხვა ქვეყნებს უზიარებენ საკუთარ რესურსებს თუ სხვა დახმარებას. კიდევ ერთხელ მინდა ვცადო და მოგიწოდოთ, ოპოზიციას მივმართავ, ჩვენ თუ არ ვისწავლეთ ჩვენს ქვეყანაზე ზრუნვა, გვეყო, რაც დამანგრეველი, კატასტროფული შეცდომები დავუშვით მას შემდეგ, რაც აღვადგინეთ დამოუკიდებლობა.

**დღეს არის ურთულესი დრო, მაგრამ ამავე დროს, არის შესაძლებლობა, რომ ამ გამოწვევებით აღსავსე დროში, ამ ეპოქიდან გამოვიდეთ გამარჯვებული. ჩვენი მთავარი ოცნება და საზრუნავი უნდა იყოს ქვეყნის გაერთიანება. მინდა მივმართო ოპოზიციას, ქვეყნის გაერთიანების გარეშე, როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს მომავალი. 24**



**საათი ლაპარაკობთ სტატუსზე, გასაგებია, გავიგეთ, აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ სტატუსი არის მნიშვნელოვანი. ასევე მინდა შეგახსენოთ, ჩვენს თანამოქალაქეებს მინდა ვუთხრა, რომ კანდიდატის სტატუსი ძალიან ბევრ ქვეყანას აქვს მიღებული და მას შემდეგ ისინი წლებია ელოდებიან წევრობასაც და არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა მათ შემთხვევაში. ეს არის ერთი ეტაპი, ესაა პროცესი, ამის შემდეგ იწყება კიდევ სხვა პროცესი და ა.შ. წლები დასჭირდება იმას, რომ ჩვენი ქვეყანა გახდეს ევროკავშირის წევრი. ამას სჭირდება მომზადება, ამას არ სჭირდება ფარისევლობა და ტყუილი, რომ გამოდიხართ და ატყუებთ ხალხს, რომ რაღაც სასწაული მოხდება და დაინგრევა, მეორე მხრივ, თუ არ მივიღებთ სტატუსს.**

სტატუსს მიიღებს საქართველო, იმიტომ, რომ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ და ვაკეთებთ. რა თქმა უნდა, ესაა პოლიტიკური გადაწყვეტილება და ჩვენ ამისთვის ყველა ნიადაგს ვქმნით, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ჩვენს პარტნიორებს ვაჩვენოთ სრული მზადყოფნა. ასე რომ, ისევ და ისევ, კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ დღეს ვფიქრობ სასარგებლო იყო აქ გამართული საუბარი, დებატები, სამწუხაროდ, კონსტრუქციულ რეჟიმში ვერ შედგა. მე მინდა მადლობა გადავუხადო კონსტრუქციულ გამომსვლელებს ოპოზიციიდან, ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს დავუმტკიცოთ რომ შეგვიძლია პოლარიზების დასრულებაც, შემცირებაც, ეს მხოლოდ ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული. ეს ნება გაცხადებულია ჩვენი მხრიდან, რა თქმა უნდა, თანმხვედრი ნაბიჯი უნდა იყოს გადმოდგმული რადიკალური ოპოზიციის მხრიდან.

დაბოლოს, ქვეყანაში დღეს გვაქვს მშვიდობა, სტაბილური ვითარება, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა. წელს ველოდებით, რომ ასევე დაახლოებით 10%-იანი ეკონომიკური ზრდით დავასრულებთ წლევანდელ წელს, რამაც მოგვცა საშუალება, რომ კიდევ უფრო მეტი პროექტი განვახორციელოთ ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ხალხისთვის. ასე მშვიდად, მტკიცედ და პრინციპულად უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ქვეყნის წინსვლა და განვითარება.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

**19 ნოემბერი, 2022 წ.**

# ვინ წყვეტს საქართველოს მომავალს პარლამენტში?



Georgian service (RFE/RL)

## როცა პარლამენტი მოსახლეობის საჭიროებებს არ პასუხობს...

**2020 წლის არჩევნების შემდეგ მრავალი ცვლილება მოხდა საქართველოს პარლამენტში, უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში, რომელსაც ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა – ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად აუცილებელი პირობების შესრულება ევალება.**

**ამ პროცესის ფონი კვლავ მწვავე პოლარიზაციაა. მე-10 მოწვევის პარლამენტი, რომელსაც თვეების მანძილზე უცხადებდა ბოიკოტს ოპოზიციის დიდი ნაწილი, ნაკლებად ასახავს ძალთა თავდაპირველ გადანაწილებას, რომელიც, ცესკოს ოფიციალური მონაცემებით, ამომრჩეველმა ორი წლის წინ განსაზღვრა. ბოლო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ზოგმა დეპუტატმა პოლიტიკური მრწამსი შეიცვალა, ზოგი გადაჯგუფდა, სხვები პარლამენტიდან წავიდნენ – ნებით ან ძალით.**

**კანონმდებლობით, საქართველოს პარლამენტი 150-წევრიანია, მაგრამ ამჟამად დეპუტატების რიცხვი 141-ს არ აღემატება. აღარ შეივსება იმ ოპოზიციონერი დეპუტატების ადგილები, რომლთა პარტიებმაც, პოლიტიკური ბოიკოტის დროს პარტიული სიები გააუქმეს. „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“, IRI-ის ბოლო კვლევით, პარტიების რეიტინგი შემცირებულია და ამომრჩეველი არსებული პოლიტიკური სპექტრის მიმართ გულგრილი გახდა. როგორია პარლამენტის კონფიგურაცია დღეს და რამდენად განსხვავდება ამჟამინდელი სურათი ხალხის თავდაპირველი არჩევნისგან?**

### „ქართული ოცნება“

**2020 წლის არჩევნების შედეგებით, მმართველი პარტია პარლამენტში 90-მანდატით შევიდა (60 – პარტიული სიით, 30 – მაჟორიტარი);**

დღეს „ქართული ოცნება“ პარლამენტში 75 მანდატს ფლობს. თუმცა ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის, ირაკლი ხახუბიას გარდაცვალების შემდეგ, შუალედურ არჩევნებამდე, პარლამენტში მმართველ პარტიას 74 დეპუტატი ჰყავს.

- „ქართული ოცნების“ რიგებს თავდაპირველად 6 დეპუტატი გამოეთიშა – ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას გადადგომის (2021 წლის თებერვალი) შემდეგ. პარტიის „საქართველოსთვის“ 6 წარმომადგენელი პარლამენტში ამჟამად **უფრაქციო დეპუტატის** სტატუსს ატარებს.
- შემდეგ, ეტაპობრივად, „ქართულ ოცნებას“ კიდევ **9 დეპუტატი** გამოეყო. ისინი ახლადშექმნილ მოძრაობა – „ხალხის ძალაში“ დაჯგუფდნენ – „ქართულ ოცნებასთან“ სიმბიოზური თანაცხოვრების შენარჩუნებით.

„ხალხის ძალას“ საერთაშორისო პარტნიორებისა და უპირატესად, აშშ-ის მისამართით, კრიტიკული, ხშირად დაპირისპირებული რიტორიკა გამოარჩევს. როგორც მმართველი პარტიიდან გასულებმა, ასევე „ქართული ოცნების“ ლიდერებმაც არაერთხელ განაცხადეს, რომ სახელისუფლებო პარტიას საჯაროდ ყველაფრის თქმა არ შეუძლია, „ხალხის ძალას“ კი ხალხისთვის „სიმართლის თქმა“ სურს. „ხალხის ძალის“ რიტორიკა, რომლის ელემენტებიც ხშირად ისმის მმართველი პარტიიდანაც, ფუნდამენტურად განსხვავდება 2020 წლის არჩევნების დროს „ქართული ოცნების“ მიერ დეკლარირებული პოზიციისგან.

**მე-10 მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომა 2020 წლის 11 დეკემბერს გაიმართა. ოპოზიციის ბოიკოტის ფონზე, მასში მხოლოდ „ქართული ოცნება“ მონაწილეობდა. იანვარში პარლამენტში შევიდნენ „პატრიოტთა ალიანსის“ სიით გასული „ევროპელი სოციალისტები“, ხოლო თებერვლიდან – „მოქალაქეები“. სხვა პარტიების ბოიკოტი ამის შემდეგაც გრძელდებოდა.** 2 წელიწადში „ქართულმა ოცნებამ“ ორჯერ შეცვალა პარლამენტის თავმჯდომარე – არჩილ თალაკვაძეს კახაბერ კუჭავას ჩაენაცვლა, ხოლო ეს უკანასკნელი შალვა პაპუაშვილმა შეცვალა. თალაკვაძისგან განსხვავებით, კუჭავამ პარლამენტიც დატოვა.

### „ნაციონალური მოძრაობა“

ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ბლოკმა („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“) 36 მანდატი მიიღო – ყველა პარტიული სიით; ენმ-ს ბლოკს დღეს პარლამენტში მხოლოდ 27 მანდატი აქვს.

**ცხრა დეპუტატიდან:**

- სამი დეპუტატი პარლამენტიდან საკუთარი ნებით წავიდა, მათ შორის – პარტიის ამჟამინდელი თავმჯდომარე – ნიკა მელია, რომელმაც მიზეზად თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზადება დაასახელა; ზაალ უდუმაშვილმა და **ნონა მამულაშვილმა** მანდატთან ერთად „ნაციონალური მოძრაობაც“ დატოვეს;
- ოთხი დეპუტატი „უფრაქციოს“ სტატუსს ატარებს, მათ შორის სალომე სამადაშვილი და გრიგოლ ვაშაძე. თებერვალში სამადაშვილი პარტია „ლელოს“ შეუერთდა.
- ერთი დეპუტატი, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე, ხათუნა სამნიძე, ამჟამად პოლიტიკური ჯგუფის – **„რეფორმების ჯგუფის“** თავმჯდომარეა;
- კიდევ ერთ დეპუტატს - ლევან ვარშალომიძეს უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეუწყვიტეს. ოფიციალურ მიზეზად გაცდენები დასახელდა.

წასულების ადგილი პარლამენტში ვეღარავინ შეავსო, რადგან ენმ-მა, სხვა ოპოზიციური პარტიების მსგავსად, ბოიკოტის დროს, პარტიული სია გააუქმა; სიების აღდგენას კი აღარ დათანხმდა „ქართული ოცნება“. „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში, ყველა სხვაზე გვიან – 2021 წლის ივნისში შევიდა. მანამდე მან ხელი არ მოაწერა „შარლ მიშელის შეთანხმებას“. ევროკომისიის 12-პუნქტიან რეკომენდაციებზე სამუშაოდ „ქართული ოცნების“ მიერ შექმნილ ჯგუფებში ენმ-ის დეპუტატები არ მონაწილეობდნენ. ისინი ალტერნატიულ კანონპროექტებზე მუშაობდნენ.

### ევროპული საქართველო

**ცესკოს მონაცემებით, ამომრჩეველმა „ევროპულ საქართველოს“ 5 მანდატი მიანიჭა; მაგრამ პარტიის სახელით დღეს პარლამენტში არავინ არის.**

- ერთი მანდატი გაუქმდა – ელენე ხოშტარიამ უარი თავიდანვე თქვა პარლამენტში შესვლაზე და უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნა მას 2022 წლის თებერვალში დაუკმაყოფილეს; არჩევნების შემდეგ, პარტია მან მალევე დატოვა და საკუთარი პოლიტიკური პარტია – „დროა“ შექმნა.
- დანარჩენი ოთხი დეპუტატი კი – პარლამენტში არა პარტიის სახელით, არამედ ინდივიდუალურად **შევიდა**. აქედან 3 დეპუტატი უფრაქციოთა სიაშია, მათ შორის პარტიის ყოფილი თავმჯდომარე – დავით ბაქრაძე; ხოლო ტარიელ ნაკაიძე „რეფორმების ჯგუფის“ წევრია.

„ევროპულ საქართველოს“ პოზიცია ამ დრომდე არ შეუცვლია. ოპოზიციის პარლამენტში მუშაობის აზრს პარტია ვერც ამჟამად ხედავს – 2020 წლის არჩევნების შემდეგ ფორმირებულ პარლამენტს არალეგიტიმურად თვლის. პარტიას ხელი არ მოუწერია „შარლ მიშელის შეთანხმებისთვის“ (2021 წლის 19 აპრილს).

### „ლელო საქართველოსთვის“

**პარტიის „ლელო საქართველოსთვის“ სათვალავზე პარლამენტში თავდაპირველად 4 მანდატი იყო; საიდანაც ორი უკვე გაუქმებულია.**

- პარტიის ლიდერმა – მამუკა ხაზარაძემ პარლამენტი თავისი ნებით დატოვა და ამის შესახებ მან 2021 წლის 31 ოქტომბერს, პარლამენტის შენობის წინ, აქციაზე განაცხადა.
- ნების საწინააღმდეგოდ, სადეპუტატო უფლებამოსილება დროზე ადრე, 2022 წლის 15 თებერვალს **შეუწყვიტეს** „ლელოს“ მეორე ლიდერს – ბადრი ჯაფარიძეს. „ქართულმა ოცნებამ“ მიზეზად მისი **სასამართლო განაჩენი** დაასახელა.

საქართველოსთან დაკავშირებული ანგარიშსა და შესაბამის რეზოლუციის პროექტში, რომელიც, 8 ნოემბერს, ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე დამტკიცდა ევროპარლამენტარები ბადრი ჯაფარიძის მანდატის გაუქმებასა და ხაზარაძე-ჯაფარიძის განაჩენს **„პოლიტიზირებული მართლმსაჯულების თვალსაჩინო მაგალითად“** ასახელებენ.

ხაზარაძისა და ჯაფარიძის ადგილები ვეღარ შეივსო, კვლავ პარტიული სიის გაუქმების მიზეზით. წევრების გამოკლების გამო, „ლელოს“ საპარლამენტო ფრაქცია ორჯერ დაეშალა და ამჟამად მხოლოდ 2-წევრიანი პოლიტიკური ჯგუფის სახით არის წარმოდგენილი. პარლამენტის ვებგვერდის თანახმად, ამ ჯგუფს მხოლოდ ანა ნაცვლიშვილი და დავით უსუფაშვილი წარმოადგენენ. „ლელო“ არ მონაწილეობდა 12-პუნქტიან რეკომენდაციებზე სამუშაოდ „ქართული ოცნების“ მიერ შექმნილ ჯგუფებში და ალტერნატიულ კანონპროექტებზე მუშაობდა.

### სტრატეგია აღმაშენებელი

**ცესკოს მონაცემებით, გიორგი ვაშაძის "სტრატეგია აღმაშენებელმა" 2020 წლის არჩევნებზე 4 მანდატი მიიღო; მაგრამ ამჟამად, პარტიის სახელით პარლამენტში, მხოლოდ ორი დეპუტატი მუშაობს – გიორგი ვაშაძე და პაატა მანჯგალაძე. თამარ ჩარკვიანის (ამჟამად უფრაქციო დეპუტატი) შემდეგ, ბოლოს, პარტიას თეონა აქუბარდია გაემიჯნა და ის „რეფორმების ჯგუფის“ წევრად რჩება.**

„სტრატეგია აღმაშენებელი“ არ მონაწილეობდა 12-პუნქტიან რეკომენდაციებზე სამუშაოდ „ქართული ოცნების“ მიერ შექმნილ ჯგუფებში და კანონპროექტებზე, სხვებთან ერთად, ალტერნატიულ ფორმატში მუშაობდა. ბოლო პერიოდში, „სტრატეგია აღმაშენებლის“ რიგებიდან ისმის განცხადებები, რომ პარტია პარლამენტის დატოვებას განიხილავს.

### „გირჩი“

**„გირჩს“ პარლამენტში 4 დეპუტატი ჰყავს, მაგრამ არა იმ შემადგენლობით, როგორც ეს ცესკოს მონაცემებით იყო.**

პარლამენტში გასული თავდაპირველი ოთხეულიდან – ახლა დეპუტატებს შორის მხოლოდ იაგო ხვიჩია და ვახტანგ მეგრელიშვილი არიან.

ზურა ჯაფარიძე, რომელიც 2020 წლის არჩევნების დროს „გირჩის“ თავმჯდომარე იყო, ახლა აღარც პარლამენტშია და აღარც „გირჩში“. ჯაფარიძემ პარლამენტის დატოვება 2021 წლის ივლისში, მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც „ქართულმა ოცნებამ“ ანულირებულად გამოაცხადა „შარლ მიშელის შეთანხმება“. ჯაფარიძემ „გირჩი – მეტი თავისუფლება“ დააფუძნა.

რადგან პარტიული სია გაუქმებული არ ჰქონდა, „გირჩმა“, ზურა ჯაფარიძის ნაცვლად, პარლამენტში მეოთხე დეპუტატად ჰერმან საბო შეიყვანა. იაგო ხვიჩიას „გირჩი“ პარლამენტში 2021 წლის აპრილში შევიდა სულ ცოტა ხნით იმაზე ადრე, ვიდრე ოპოზიციის ნაწილი პარლამენტს უკვე „შარლ მიშელის შეთანხმების“ ხელმოწერის შემდეგ შეუერთდებოდა. „გირჩი“ ჩართული იყო „ქართული ოცნების“ მიერ ევროკომისიის რეკომენდაციებზე სამუშაოდ შექმნილ ჯგუფებში და დეპუტატ ხვიჩიას კანდიდატურა სახალხო დამცველის პოსტზეც წარადგინა. ჯერ ამ პოსტზე არავინ აურჩევიათ.

### „მოქალაქეები“

**„მოქალაქეები“ პარლამენტში ორი დეპუტატით გავიდნენ და ახლაც ორნი არიან – ალეკო ელისაშვილი და ლევან იოსელიანი, რომელმაც, ოპოზიციის კვოტით, ვიცე-სპიკერის პოსტიც დაიკავა.**

ეს პარტია 2021 წლის თებერვალში, საპარლამენტო მუშაობაში 3-თვიანი ბოიკოტის შემდეგ ჩაერთო. მანამდე ისინი ქუჩის აქციებშიც მონაწილეობდნენ. ისინი არცთუ იშვიათად აკრიტიკებენ სხვა ოპოზიციურ პარტიებს. „მოქალაქეები“ ჩართული იყვნენ „ქართული ოცნების“ მიერ ევროკომისიის 12-პუნქტიან რეკომენდაციებზე სამუშაოდ შექმნილ თემატურ ჯგუფებში.

### ლეიბორისტული პარტია

**შალვა ნათელაშვილის პარტიამ ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე, ცესკოს მონაცემებით, ერთადერთი მანდატი მიიღო – თავად ნათელაშვილისთვის.**

გამოცხადებული ბოიკოტი „ლეიბორისტულმა პარტიამ“ ბოლომდე შეინარჩუნა და შალვა ნათელაშვილი პარლამენტში არცერთ სხდომას არ დასწრებია. 2021 წლის 15 თებერვალს, მას მანდატი გაცდენების მიზეზით გაუუქმეს. გაუქმებამდე ცოტა ხნით ადრე, შალვა ნათელაშვილი აცხადებდა, რომ მზად იყო დაეწყო საპარლამენტო საქმიანობა და ამისთვის ამომრჩევლების გამოკითხვასაც ატარებდა.

იხ. 6 გვ.



## რას ჰგავხართ, ხალხო, ვინ ხართ, რა ჯიშის ხართ, რა გიქნათ და რას დაგამსგავსათ მამაძაღლმა და მოსასპობმა ლიბერასტულმა დასავლეთმა, ვერ ხედავთ ამას?!

# ნეოლიბერალიზმი საკაცობრიო უბედურებაა, იგი უნდა დასამარდეს!

**ის რა ქვეყანაა, სადაც ტყუილის თქმა და ცილისწამება დემოკრატიის ნიშნად არის მიჩნეული და ეკრანიდან დედის გინება გამოხატვის თავისუფლებად საღდება! არც კანონი, არც სამართალი!**

**– ასე მიმართა ლეგენდარულმა ზნეობრივმა გმირმა პერსონაჟმა დათა თუთაშხიამ სეთურის ტვინგამორეცხილ მონებს, მისი სიტყვები ახლა მე გავიმეორე ჩვენი ტვინგამორეცხილი ლიბერასტების მიმართ, რომლებიც სეთურის მონებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ თავიანთი მონობის საფასურად დიდ ანაზღაურებას იღებენ, სალაფავიც ბევრი აქვთ და სამოსელიც, ტვინის ნასახი არ აქვთ მხოლოდ. ანდა ტვინი რად უნდათ ნეტავი? მათ მაგივრად სხვები ფიქრობენ ვაშინგტონსა და ბრიუსელში. ისე, თავები კი აქვთ, ზოგი გვარიანი ბოთერაა, მაგრამ ეს ე.წ. თავები უზნეო და მხოლოდ ქუდის დასახურად სჭირდებათ.**

შეიძლება ვინმემ ნაკლად ჩამითვალოს ზნეობრივი გმირის სიტყვების გამეორება და სათაურად გამოტანა, მაგრამ მე ეს ნაკლად არ მიმაჩნია: ზნეობრივი გმირის სიტყვა და საქმე უნდა გაიმეოროს კაცმა, აბა სულელი და უზნეო ლევანა ბერძენიშვილის ნათქვამს ასევე უზნეო და სულელი თუ გაიმეორებს! ასეა ეს და აღარ მექნება ამაზე მსჯელობა აწი!

ერთი და ორი ბრიყვი ლევანა ყველგან არის, ალბათ, მაგრამ იმდენი სულელი, უზნეო და რეგვენი, რამდენიც ჩვენშია დღეს, არა მგონია მსოფლიოს ბევრ ისტორიულ ქვეყანაში მოიძებნებოდეს. ისტორიული ქვეყანა-მეთქი, იმიტომ ვთქვი რომ ისტორიულ ქვეყნებს ტრადიციები, მყარი ადათები, ზნეობრივი ორიენტაციები, დიდი საბრძოლო და სამშვიდობო გამოცდილება, მყარი ეროვნული იდენტობა და ამოცანები აქვთ, თორემ გუშინდელ გამოჩეკილ სახელმწიფოებს ბევრი არაფერი მოეთხოვებათ. ერთი ჩემი მეგობარი იტყვის ხოლმე: ამ ამერიკა-ამერიკას რომ მიიჩნევენ სანიმუშოდ, რა ისტორია და წარსული აქვს ამ ქვეყანას, ნეტავი, როცა ბაბუაჩემს მაგ ქვეყნის ხნისა ხეჭეჭურის ხე უდგას ეზოშიო.

მსხლის ასაკს, ალბათ, ცოტათი აზვიადებს, მაგრამ იმ ქვეყანას, რომელშიც აგერ რამდენიმე წლის წინ გაუქმდა ერთმანეთში გადაჯაჭვული უსასტიკესი მონობა და რასიზმი, რა უფლება აქვს სხვებს ასწავლიდეს დემოკრატიასა და ცხოვრების წესს, ჰუმანიზმსა და ტოლერანტობას. სხვამ, თუ უნდა მისცეს ამის უფლება მას, მაგრამ მის მიერ ტვინგამორეცხილ ჩვენიანებს, რომ ვუცქერი, ინდოეთის დიდი პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს ნათქვამი მახსენდება: სხვის მიერ გამოზრდილი ჩვენი ეროვნული პოლიტელიტა ყველაზე საშინელი მტერია ჩვენი ეროვნებისაო.

ა, ბატონო ამის მაგალითები:

პარლამენტიდან დავიწყოთ!

ამდენი ხანია ვფიქრობ და ვერ დავადგინე, სად ჰქონდათ ტვინი ამ ადამიანებს ვინც საპარლამენტო არჩევნებში ხმა მისცა ე.წ პარტია-გირჩს და მის ბელადს გირჩ ზურაბას. ტვინი თავში რომ არ ჰქონდათ, ეს უდავოა! მაგრამ სხვაგან სად ჰქონდათ ნეტავი? ფეხებში, იდაყვებში, იღლიებში თუ სულაც უკანალში? ზოგიერთები რომ გაიძახიან ეს პარლამენტი არალეგიტიმურიაო, მართლები არიან! პარტია, რომელიც თავისი ბელადის მეთაურობით შარვალს ჩაიხდის და შიშველ უკანალს მიუშვერს ტელეკამერებს და ამას პროტესტის გამოხატვას დაარქმევს, რა ჰქვია, ნეტავი? პოლიტიკური პარტია, რომ არ ჰქვია, ეს აშკარაა! შარვალჩახდილობა დაცემის, ღირსებააყრილობის, სინდისის განიორწყლების აღმნიშვნელი ტერმინი იყო საქართველოში, ისე როგორც ჩიქილამოხდილობა გაუპატიურებულს ნიშნავდა. შარვალჩახდილები და გაუპატიურებულები რომ სხედან საკანონმდებლო ორგანოში, რა ლეგიტიმა-



ცია უნდა ჰქონდეს იმნაირ თავშეყრილობას, გინდა პარლამენტი დაარქვით, გინდა კონგრესი და სენატი!

**შარვალჩახდილები კი არიან, მაგრამ იქნებ რაიმე სასარგებლო საქმიანობა იციან? კი, აბა! მარიხუანას, ჰაშიშის პლანტაციების გაშენებისა და გასაბერი ეკლესიების აშენების (ხი,ხი,ხი!) სურვილი აქვთ, მხოლოდ ამის გამო აირჩიეთ ეს ხალხი, თქვე უბედურებო?**

**ამათზე მეტი ტვინი არც ხოშტარიას, ხაბეიშვილს, დეკანოიძეს და მათი თანაპარტიელების ამომრჩევლებს აქვთ...**

**რა გენიალურად თქვა დიდმა ილიამ: არჩევნებში ხმები კი არ უნდა დაითვალოს, უნდა აიწონოსო! აბა ნატო ჩხეიძის, სალომე სამადაშვილის, თაკო ჩარკვიანის, ვიღაც მანჯგალაძისა თუ კვანჭალაძის ამომრჩევლების ტვინი ერთად, რომ შეკრიბოთ და აწონოთ, ერთი დარბაისელი კახელი მევენახის ტვინის მესამედი წონისა თუ იქნება! მერე და ამნაირად არჩეულ ბრბოს უნდა ვანდოთ ქვეყნის ბედ-იღბალი?**

იმდენი ჭკუა რომ არ ექნება ქვეყანას, რომ თვითონ მიხვდეს რა უნდა და „აირაისა“ და „ენდიაის“ შეეკითხება, გვითხარით, თუ შეიძლება რა გვინდა ჩვენ და საით გვსურს წასვლაო (ვენახში, ყანაში. ჩაიში. თუ ევროპაშიო) რა წარმატებას უნდა მიაღწიოს ნეტავი?

სამი წლის ასაკის შემდეგ, არც ერთი ნორმალური ბავშვი არ ეკითხება დედას, მე ახლა ძილი მინდა, თუ ჭამაო! ჩვენ იმ ბავშვის ასაკიდან ვერ გამოვედით? ისე ერთმა, თვითონ სულელმა ფილაფოსმა (ანუ ფილოსოფოსმა), რომელიც შეთავსებით ქვეყნის პრეზიდენტიც იყო, დაწერა: ქართველებს ტანი ეზრდებათ, მაგრამ ტვინი არ ემატებათო. საკუთარ თავს აკვირდებოდა, ალბათ, მაგრამ ხალხის ერთი ნაწილის შესახებ კი მართლის თქმა გამოუვიდა.

ხანდახან, პარლამენტის სხდომებს რომ ვუცქერი, ასე მგონია, რომ რაღაც, ნახევრად უზრდელი, უვიცების რეალითშოუს ვადევნებ თვალს და მისი მონაწილეები უპატრონოებად მეჩვენებიან, რომლებსაც ექიმთან მიმყვანი და გულშემატკივრები არ ჰყავთ. აბა, პარლამენტის დეპუტატი ქალი მაგიდაზე რომ შეხტება და წივილ-კივილს ატეხს, მით უფრო თუ სახელმწიფოს დროშა აქვს ტანზე შემოხვეული, ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტია აბა, რა!

**ამნაირების მიერ მოწყობილ მიტინგებსა და აქციებზე რომ დადიხართ, ვინ დადიხართ, რას ფიქრობთ, თუ ფიქრობთ, მაცოდინა ერთი და რა მიკვირს, იცით? პოლიტიკოსი ორშაბათს, რომ საჯაროდ განცხადებას გააკეთებს და ეს პარტია და მისი ბელადი ქვეყნის მოღალატე, მკვლელი და უნამუსოა და ყველამ ერთად უნდა გავაძევოთ იგი პოლიტიკიდანო, ხუთშაბათს კი იმავე კაცს ქვეყნის აღმშენებელსა და გამაბედნიერებელს უწოდებს და მასთან ჩასახუტებლად საზღვარ გაღმა წავა, ისევ პოლიტიკოსად რატომ მიიჩნევენ ზოგიერთები და დღენიადაგ გაზის ბალონივით რატომ არის გამოდგმული ე.წ ტელევიზიების ეკრანებზე?**

ის რა ქვეყანაა, სადაც ტყუილების თქმა და ცილისწამება დემოკრატიის ნიშნად არის მიჩნეული და ეკრანიდან დედის გინება გამოხატვის თავისუფლებად საღდება! არც კანონი, არც სამართალი!

კი მაგრამ, ამ ხელისუფლებამ არ იცის, რომ ენით მოკლულთა რიცხვი ტყვიით მოკლულებზე ნაკლები როდია. ახლა ერთი ასეთი ტელეეკრანიდან უშიშრად მაგინებელი ციხეში ზის, მაგრამ იმისთვის კი არა, რაც სადაც სამართალია, დუელში იწვევდნენ, ან სულაც უდუელოდ გააგორებდნენ ხოლმე, არამედ რაღაც ისეთ დანაშაულზე მიუსაჯეს სამი წელი, რასაც ყოველი მეორე მოხელე სჩადიოდა და სჩადის ახლაც.

ერთი სახიფათო ნაკლი აღმოვაჩინე ჩემში: მე რომ კაცს წასახალისებლად ქებას დავუწყებ (საჯაროდ, ცხადია), რაღაც სისულელე რომ არ ჩაიდინოს არ იქნება. ისე გამომდის ხალხური ნათქვამი რომ არის: „ნაქებმა ძაღლმა ნიახურზე გადააფსაო“ ირაკლი კობახიძეზე ვამბობ ამას. რაც მე ეგ ვაქე! მაგან კი რა თქვა გენერალური პროკურორის არჩევის წესთან დაკავშირებით: პროკურორის თანამდებობის დაკავების ახალი რეგულაცია, რაც ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა მოგვახვიეს თავს, დემოკრატიასთან არანაირ კავშირში არ არის, მეტიც, ეს დიდი უბედურებაა, მაგრამ ჩვენ თუ ჩვენი სტრატეგიული მეგობრების ამ რჩევას არ გავითვალისწინებთ, მაშინ ევროკავშირში გაწევრიანებასთან პრობლემები შეგვექმნებაო.

ბატონო ირაკლი, მაინც რა თაფლის მდინარეები გელოდებათ იმ რაღაც კავშირში, რისი გულისთვისაც კანონიერებაზე ამბობთ უარს და თავსლაფს ისხამთ!.. ამაზე პასუხი მას არ აქვს, ისევე როგორც იმაზე, უკრაინის ანტიქართულ ხელისუფლებასთან ცალმხრივ მეგობრობას რომ აპირებთ (და ახორციელებთ).

იხ. 9 გვ.

# ღმერთმა გვიმრავლოს მისთანანი!

## შალვა მგალობლიშვილი – 80



**გუშინდელ** დღესავით მახსოვს, ჩემი კარის მეზობლის, სამაგალითო პიროვნების, ღვაწლმოსილი ფსიქიატრის, **შალვა მგალობლიშვილის** დაბადების სამოცდაათი წლისთავი რომ ავღნიშნეთ. გვიკვირს, რა მალე გაირბინა განგაშითა და შფოთით აღსავსე ათმა წელიწადმა. ამითაც უნდა მივხვდეთ, რა მსწრაფლმედინია კაცთათვის განკუთვნილი ეს ძნელი გზა, ნათელი კვალი დავტოვოთ.

შალვა მგალობლიშვილი სოხუმში დაიბადა და გაიზარდა. არასოდეს მოუშუშდება ის უმძიმესი ჭრილობა, რაც ვერაგულად თავსმოხვეულმა აფხაზეთის ომმა და სოხუმის დაცემამ მიაყენა. მამამისი, ბიძინა მგალობლიშვილი, სოხუმის მთავარი ფსიქიატრი, ამაგდარი ადამიანი, ვინაც გადაყოლილი იყო მთელ კუთხეზე და დიდი სახელი ჰქონდა მოპოვებული, გადამთიელთა შემოსეულმა, დაქირავებულმა ბანდებმა დაატყვევეს და სწორედ სოხუმის დაცემის დღეს, დახვრიტეს. მოგვიანებით შვილებმა ნაწამები მშობლის ცხედარი მის მშობლიურ სოფელ მარანში გადმოასვენეს და შესაფერისი პატივით დაკრძალეს. სადაც შალვამ ეკლესია ააგო, რომელიც ჯვართამაღლების სახელობისაა.

ბატონი შალვა რვა დედმამიშვილში (სამი ძმა და ხუთი და პროფესიით ექიმები) უფროსი და თავიდანვე ყველასგან გამორჩეული იყო, განსაკუთრებით ხასიათით. წლების მანძილზე, ღირსეულად ხელმძღვანელობდა ხონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს და იქაურობა, რამდენადაც ვიცი, მისი გარჯილობით, სანიმუშოდ იყო მოწყობილი. ვაჟი, ბიძინა, მასავით გოლიათური აღნაგობისა (ორი მშვენიერი ქალიშვილი ჰყავს), თავისი საქმის ასევე საუკეთესო მცოდნე, გლდანის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმია. გარემოებათა გამო, ცოტა მეტი უნდა ვთქვა უმცროს ვაჟზე, ლევანიზე. ახალგაზრდა კაცი ხუთი ანგელოზივით ბავშვის (ოთხი ბიჭი და ერთი გოგონა) მამაა. ყველაფერთან ერთად, ჩემი შვილის, ბაქარის ნათლიაა და ყოველნაირად მეურვეობს მას. სიყმაწვილეში ძალზე ნიჭიერი სპორტსმენი იყო, კალათბურთის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა, მერე კი სამართალმცოდნე გახდა. ლევან მგალობლიშვილი ჩვენი პარლამენტის თვალსაჩინო წევრთაგანია. სხვა გულანთებულ მამულიშვილებთან ერთად ხშირად უწევს საქართველოს ჩასაძირავად დარაზმული ბნელი, ტვინგადაკეტილი ძალების (მათი ჩამოთვლა არაა საჭირო, ისედაც ცნობილია რამდენად მავნეები არიან) მოგერიება.

ყველა ახლობელმა, მთელმა მისმა საძმომ იცის, რამდენად ხელგაშლილი ადამიანია შალვა მგალობლიშვილი. აბაშის რაიონის სოფელ მარანში აქვს ულამაზესი კარ-მიდამო და იქ ვინმეს სტუმრობისას ნამდვილ ნეტარებას განიცდის. ერთხელ მონატრებული, სასურველი მეგობარი სწვევია, ოჯახიდან მისი იოლად გაშვებაც არ უნდოდა. მანქანა ეზოში დააყენებინა და ის კაცი მეორე დღეს რომ არ წასულიყო, თვითმცლელის ნაცნობ მძღოლს ჭიშკართან ხრეში დააყრევინა. სამი დღე და ღამე გადაბმულად აქეიფა და მერე, როგორც იქნა, გაისტუმრა. ანეკდოტს კი გავს, მაგრამ ნამდვილად ასე მოხდა.

არ შემიძლია, განსაკუთრებული მადლიერებით არ ვახსენო შალვა მგალობლიშვილის უერთგულესი მეუღლე, ოჯახის ბურჯი, სანაქებო დიასახლისი, ასეთივე დედა და ბებია ქალბატონი სვეტა აბშილავა. იგი ჩემს ნაადრევად დაობლებულ შვილსაც უწევს დედობას, სითბოსა და მზრუნველობას არ აკლებს, მის ხელშია გაზრდილი.

როცა კი გამჭირვებია, მგალობლიშვილების დიდი და უზომოდ კეთილი ოჯახი, რომელთანაც ნათელ-მირონი მაკავშირებს, ყოველთვის გვერდით მედგა და მამხნევებდა, რაც არასოდეს მავიწყდება. მინდა მთელი არსებით, სულითა და გულით მივულოცო ძვირფას შალვა მგალობლიშვილს დაბადებიდან ოთხმოცი წლის შესრულება, ნათესავებით, უახლოესი ადამიანებით გარშემორტყმულს, მტკიცე ჯანმრთელობა და საუკუნეს გადაბიჯება ვუსურვო. ღმერთმა უმრავლოს ათას განსაცდელში გამოვლილ ჩვენს სამშობლოს მისთანა წელგამართული, ალალ-მართალი ვაჟკაცები!

უამრავ კეთილის
მსურველთა სახელით

**ემზარ კვიტაიშვილი**

# დიდი ჯარიმები და დიდი ცდუნება



## შევძლებთ თუ არა ფარმაცევტების მადის მოთოკვას?

**ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტულ საცალო ფასზე მაღალ ფასად რეალიზაციის წესის დარღვევა გამოიწვევს ჯერ გაფრთხილებას, ხოლო იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით. ჯარიმები ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონში შესატანი ცვლილებებით არის გათვალისწინებული. მთავრობა ცდილობს მედიკამენტების ოლიგოპოლიური ბაზარი გამჭვირვალე გახადოს და მოსახლეობას ხარჯი შეუმციროს, მაგრამ ჯერ კიდევ უამრავი დაბრკოლებაა გადასალახი.**

როგორც ცვლილებების განმარტებით ბარათში აღნიშნულია, ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტულ საბითუმო ფასზე მაღალ ფასად რეალიზაციის წესის დარღვევა გამოიწვევს: დაჯარიმებას 22 500 ლარის ოდენობით. ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას 45 000 ლარით.

**„აღნიშნული ჯარიმების ოდენობების განსაზღვრისას, მხედველობაში იქნა მიღებული გადაცდომის სიმძიმე, მასშტაბები, მისი გავლენები ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის სფეროზე და ასევე, საერთაშორისო გამოცდილება, მაგალითისთვის, საბითუმო რეალიზატორებისთვის ჯარიმის ოდენობის გამოსათვლელად გამოყენებულ იქნა შემდეგი მიდგომა: რეფერენს ქვეყნებში ჯარიმების ოდენობებიდან, აირჩა ქვედა ნიშნული, ყველაზე დაბალი ფასი, შემდეგ აღნიშნული მოცულობები გადაკონვერტირდა ლარში. საბოლოო ეტაპზე კი გაანგარიშდა ჯარიმის საშუალო მოცულობა.**

**საბითუმო რეალიზატორებისთვის ჯარიმის მოცულობად განისაზღვრა რეფერენს ქვეყნებში არსებული ჯარიმების საშუალო მაჩვენებლის — 45 000 ლარის ნახევარი — 22 500 ლარი. განმეორების შემთხვევაში კი — 45 000 ლარი“,** — აღნიშნულია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

ფარმაცევტულ ბაზარზე ჯერ კიდევ უამრავი პრობლემაა. მონოპოლისტებისა და მათთან მჭიდროდ დაკავშირებული ექიმების მოთოკვა საკმაოდ ძნელი იქნება. ჯანდაცვის სპეციალისტის, ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის **ანდრია ურუშაძის** ინფორმაციით, ბევრმა კომპანიამ უარი თქვა პარალელურ იმპორტზე.

**„თურქეთის თემა — კარგია, როდესაც ადამიანს აქვს საშუალება იგივე წამალი უფრო იაფად შეიძინოს. ეს სწორია, მაგრამ რატომ არის მხოლოდ მცირე რაოდენობის მედიკამენტებზე, რა ბარიერებია მის შემოტანაზე, რატომ არის, რომ მარტო თურქეთიდან კი არა სხვა ქვეყნებიდან პარალელური იმპორტი ფერხდება დღეს და ბევრ კომპანიას უჭირს? ბევრმა შემომტანმა უარი თქვა ამაზე. ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ხელოვნურად ფერხდება და მე ვიცი, რომ სწორედ წამლის სააგენტოზე გავლენის გამო ფერხდება ეს. იმიტომ, რომ ბევრი ფარმაცევტული კომპანია, ვისაც შემოაქვს და აქვს ექსკლუზიური კონტრაქტები, ცდილობს ხელი შეუშალოს სხვა ბაზრებიდან უფრო იაფად შემოსული მედიკამენტების დროულად რეგისტრირებას, ადვილად შემოტანას, რამაც თავისი ეფექტი მოიტანა თავის დროზე და შემცირდა ფასები“,** — განაცხადა ანდრია ურუშაძემ.

მისივე ინფორმაციით, დღეს ისევ უკონტროლოა მედიკამენტების გამოწერის პრაქტიკა. ხშირ შემთხვევაში, ექიმი ვერ უძლებს იმ ცდუნებას, რასაც ფარმაცევტულ კომპანიასთან აღებული საკომისიო ჰქვია და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი და ძვირიანი წამალი გამოწეროს.

**„ზოგადად, რეცეპტის ინსტიტუტი უნდა დამკვიდრებულიყო და ძალიან დიდი მოლოდინი იყო ამასთან დაკავშირებით. რეცეპტი აუცილებელი პირობაა იმ მედიკამენტების ჯგუფებისთვის, სადაც ექიმის დანიშნულება აუცილებელია, როგორც დოზირების, ხანგრძლივობის, ისე კონკრეტული მედიკამენტების დასახელებისთვის, მაგრამ როგორ იყო მართული ეს პროცესი? ალბათ, ყველას დაგვრჩა განცდა, რომ ვერ მოახერხა ამის მართვა ვერც სამინისტრომ და არც ექიმებისგან იყო ამ მიმართულებით მხარდაჭერა.**

**სამწუხაროდ, დღეს ისევ უკონტროლოა, მედიკამენტების გამოწერის პრაქტიკა. მათ შორის, წამლების ჭარბი ან არარაციონალური მოხმარება. ეს პრაქტიკა გრძელდება. ექიმი ვერ უძლებს იმ ცდუნებას, რასაც ფარმაცევტულ კომპანიასთან აღებული საკომისიო ჰქვია და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი და ძვირიანი წამალი გამოწეროს. ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს არა მხოლოდ ერთი წამლის ღირებულება, არამედ, როდესაც რამდენიმე წამალი ინიშნება და შედეგი არ ჰქონდეს. ეს ყველაფერი ჯიბეზე აისახება და ეკონომიკურად აზარალებს პაციენტს. ამას მომზადება და მართვა სჭირდება, შემდეგ შედეგების ანალიზი, იმ პრობლემების ანალიზი, რომელიც ხელს უშლის.**

**აუცილებელია, პაციენტსა და ექიმს შორის დამკვიდრდეს ურთიერთობა, რომელიც თავისუფალი იქნება ფარმაცევტული კომპანიების ზეგავლენისგან“,** — განაცხადა ურუშაძემ.

**ბექა დანელია**

# ზამთარში უშუქოდ დარჩენა არ გვემუქრება



## ენგურჰესის ჩანაცვლება მოხდება თბოელექტროსადგურებით და იმპორტით

**ზამთარში უშუქოდ დარჩენა არ გვემუქრება! ამის შესახებ „კომერსანტთან“ საუბრისას ენერგეტიკოსმა გია არაბიძემ განაცხადა.**

მისი თქმით, თბოელექტროსადგურების გამომუშავება 800 მგვტ-ია, რომელსაც უკვე ვამუშავებთ.

**— ასე რომ პრობლემა, შეფერხება ჩვენ ენერგომომარაგებაში არ გვექნება. თუმცა ბუნებრივია ეს არ იქნება ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ფასი. რაც შეეხება ენგურს, ჰიდროლოგია წელს საკმაოდ ნორმალური იყო 4 მლრდ-ზე მეტი გამოიმუშავა უკვე ენგურმა. ანუ თავისი წლიური გამომუშავება გააკეთა.**

**დღეს, რომ გვქონდეს ენგურის შუა წელში 700 მგვტ-იანი წყალსაცავი — ხუდონჰესი, ეს პრობლემა ორმაგად მოიხსნებოდა. მოიხსნებოდა პრობლემა, რომ გვექნებოდა დამატებითი გამომუშავება და ენგურს ასე ადრე არ დაუმთავრდებოდა, საპროექტო ნიშნულზე არ ჩამოვიდოდა წყალსაცავის დონე.**

**თუ ამას დავამატებთ ნენსკრასა და ნამოხვანს, ჩვენ ფაქტობრივად პრობლემას მოვხსნით. საბოლოოდ რა გამოიკვეთა?**

იხ. 9 გვ.

# „ნაცმოძრაობა“ არის საზღვარგარეთული ბნელი ძალების დასაყრდენი...




**„სააკაშვილის ქარიზმა იმ პერიოდში მოიტანა 2000-იანმა წლებმა, როცა შევარდნაძის რეჟიმის შემდეგ იყო დემოკრატიის მშენებლობის საყმაწვილო სენი. დღეს კი ქარიზმა არანაირად არ არის საჭირო, ამიტომაა, რომ „ნაციონალები“ დღეს გარეშე ძალებს ეყრდნობიან. „ნაცმოძრაობა“ ეს არის მტრული ძალების მთავარი დასაყრდენი საქართველოში“,**



— აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი.**

**ხომ არ ფიქრობთ, რომ „ნაციონალები“ საბოლოოდ ნანობენ, რომ შიდა არჩევნებში მხარი დაუჭირეს ნიკა მელიას და არა ლევან ვარშალომიძეს, რომელიც, სააკაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, აჭარის სასწაულის შემქმნელი იყო. სააკაშვილი არც მალავდა, ლევან ვარშალომიძისთვის მხარი რომ დაეჭირა, სხვაგვარად წარიმართებოდა პროცესები, მაგრამ სააკაშვილს თურმე არ უნდოდა „ნაციონალების“ შიდა არჩევნებში ჩარეულიყო.**

— კარგი არჩევანი „ნაციონალებს“ არ აქვთ. მე არ ვიცი, მელია ჯობია, თუ ვარშალომიძე, თუ ერთმანეთზე უარესები არიან, მაგრამ მთავარია, რას ემსახურება ან მელია, ან ვარშალომიძე. ფაქტია, მელია ემსახურება დესტრუქციას, ეს პარტია, თუკი პარტია შეიძლება მას ეწოდოს, არის მტრული ძალა საქართველოსთვის, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობას ყოველთვის და ყველა საშუალებით ებრძოდა და ებრძვის. მთავარია, მათი გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე რაც შეიძლება შემცირდეს, საერთოდ თუ განულდება, უკეთესი იქნება. მე მგონი, საქმე აქეთკენ მიდის, რომ მათი პოლიტიკური წონა მათსავე პარტიაში შექმნილი კრიზისის გამო კიდევ უფრო შემცირდება. შესაძლებელია, ოპოზიციურ ფლანგზე გაჩნდეს ახალი ძალა.

**— ელით, რომ „ნაცმოძრაობის“ ფესვზე ახალი ძალა აღმოცენდება? თავის დროზე „ნაცმოძრაობას“ ვინც გამოეყო, მათ შორის, „ევროპული საქართველო“ ვინც დააკომპლექტა, მათგან შეიძლება მივიღოთ კონსტრუქციული ძალები? „ნაცმოძრაობაში“ ხომ სულ ასეთი დესტრუქციული ტიპაჟები არიან?**

— არ ვიცი, დაიშლება თუ არა „ნაცმოძრაობა“, მაგრამ ეს დესტრუქციული ძალა სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგაა მიმართული, შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებას აწყობს, ეს უნდა შეიცვალოს. ისინი ახლა არიან გამოუვალ კრიზისში. „ევროპულ საქართველოს“ რაც შეეხება, ეს ერთი ძალაა, ისინი მექანიკურად არიან ერთმანეთისგან განსხვავებულ პოზიციებზე. უბრალოდ, მათ შიდა დაპირისპირება აქვთ რესურსების გამო. აქ ვგულისხმობ ელექტორალურ რესურსს, ანუ საკუთარ მომხრეებს ვერ იყოფენ და, ასევე, ვგულისხმობ ყველაზე მთავარს, ფინანსურ რესურსს.

**— მოვლენები ისე ჩანს, რომ არც კეზერაშვილს, არც მერაბიშვილს არ ადარდებს მიშას ბედი, ამიტომაც დადო მისმა ოჯახმა ფსონი გიორგი ჩალაძეზე.**

— ეს ძნელი გასაანალიზებელია, ვინ რაზე დებს ფსონს და ვინ რას თამაშობს, მთავარია, რომ რესურსების გამო აქვთ ერთმანეთში გაუთავებელი დავა, ვერ იყოფენ ამ რესურსებს, მაგრამ ერთადერთი, რაშიც შეთანხმებულნი არიან, ეს არის საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ერთიანი დესტრუქციული ქმედება. ამიტომ მათი გავლენა, ეს რესურსები რომ არ გამოიყენონ ქვეყნის წინააღმდეგ, რაც შეიძლება მცირე უნდა იყოს. მათი რეალური პოლიტიკური წონა რაც შეიძლება ნაკლები უნდა იყოს. ეს გახსნის პოლიტიკურ ველს და გზა გაიხსნება კონსტრუქციული ოპონირებისთვის.

**— შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოპოზიცია უფულოდაა და ამიტომაც იკლავს თავს კეზერაშვილის ფულისთვის? ანუ როგორც ნაცების ერთ-ერთი ლიდერი გია ბარამიძე იტყოდა, მათ სად აქვთ იმის ფუფუნება, ხელი კრან რომელიმე ადამიანს, მათ შორის, კეზერაშვილს. მხოლოდ კეზერაშვილის ფულის შემყურენი არიან და სხვა მსხვილი დონორი არ ჰყავთ?**

— როგორ არ ჰყავთ, დონორები არ აკლიათ. საკმაოდ მსხვილი დაფინანსება აქვთ არა მარტო კეზერაშვილისგან, ისინი სახელმწიფოსგანაც იღებენ დაფინანსებას, რაც კურიოზია, რადგან სახელმწიფო ფულს იხდის იმ საქმიანობაში, რაც სახელმწიფოს წინააღმდეგაა მიმართული. ცოტა არ იყოს, უცნაური ვითარება იქმნება ამ მხრივ. ესეც დემოკრატიის ერთ-ერთი თვისებაა და უნდა შევეგუოთ და ავიტანოთ. სხვა დონორებიც ჰყავთ, მათ არ აკლიათ „ოლიგარქები“. ოპოზიციის ნაწილს ინახავს ხაზარაძე-ჯაფარიძის დაჯგუფება, კობა ნაყოფია, ჭყონია. ზოგიერთი აბსოლუტურად უმოტივაციოდაც კი, რაღაც ახირების გამო აფინანსებს ოპოზიციას იმ იმედით, იქნებ რამე შეიცვალოს. ისინი რამდენიმე ტელევიზიას აფინანსებენ, მათი პროპაგანდისტული მიზნით ფული იხარჯება სოციალურ ქსელებშიც. ამ თვალსაზრისით მათ ნაკლებად აქვთ პრობლემა, პრობლემა აქვთ იდეოლოგიურ გაკოტრებაში და იმის ნათელყოფაში, რომ რაიმე კონსტრუქციულის შექმნა ქვეყნისთვის არ შეუძლიათ.

**— ერთ დროს უკრაინაში მყოფი სააკაშვილი სიამაყით გვამცნობდა, რომ იგი ისტორიაში უკვე შესული იყო, ჰყავდა ბევრი მიმდევარი, მასთან უცხოელები ჩადიოდნენ იმ მიზნით, რაღაც ესწავლათ მისგან, თუმცა ფაქტია, საკუთარ პარტიაში სააკაშვილის უშუალო მიმდევარი არ ჩანს. ლევან ხაბეიშვილი თითქოს მისნაირი ტიპია, პიარიც უყვარს და ტაკიმასხარობაც.... ვინ შეიძლება ამ პარტიაში სააკაშვილის მიმდევრად ჩაითვალოს?**

— აბსოლუტურად სხვა დროა ახლა. სააკაშვილის ქარიზმა იმ პერიოდში მოიტანა 2000–იანმა წლებმა, როცა შევარდნაძის რეჟიმის შემდეგ იყო დემოკრატიის მშენებლობის საყმაწვილო სენი. დღეს კი ქარიზმა არანაირად არ არის საჭირო. ამიტომაა, რომ ნაციონალები დღეს გარეშე ძალებს ეყრდნობიან. არა მხოლოდ უკრაინულს, ევროპაშიც არიან ასეთი ძალები.

**— თუკი ნაციონალები დასაღუპად არიან განწირულნი, რატომ იკლავენ თავს ამ პროექტის ბოლომდე მიყვანაში საზღვარგარეთ მყოფი ძალები? ხომ შეიძლება, დასავლეთში პრაგმატულმა ადამიანებმა გადააფასონ მოვლენები და მიხვდნენ, რომ არაპოპულარული „ნაცმოძრაობისთვის“ არ ღირს ფსონის დადება?**

— „ნაცმოძრაობა“ არის მტრული ძალების მთავარი დასაყრდენი საქართველოში. საერთაშორისო პროექტის ნაწილნი არიან ეს ძალები. ცხადია, მათ მხარს დაუჭერენ, შეინახავენ და გააააქტიურებენ კიდეც, დღეს „ნაცმოძრაობა“ არის საზღვარგარეთული ბნელი ძალების კლიენტელა. ის დამოუკიდებელი ფიგურა არ არის. თქვენ მკითხეთ, საზღვარგარეთული ძალები როდის გადააფასებენ „ნაცმოძრაობის“ პროექტსო. ეს საკმაოდ რთული საკითხია და უკავშირდება არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი დასავლეთის მდგომარეობას და ბედისწერას. ეს არის ლიბერალური ძალების პროექტი. ჩვენი იდენტობა აბსოლუტურად სხვა არის, ვიდრე ამ ე.წ. ლიბერასტების. რაც ნაცებისთვის სამართლიანია, ჩვენთვის უსამართლობაა. რაც ნაცების უკან მდგომი ძალებისთვის სამართლიანია, ჩვენთვის მიუღებელია, მაგალითად, სქესის შეცვლა, რაც ჩვენთვის საშინელებაა. აქ იდენტობების საკითხია. ნაციონალები ჩაერთვნენ ამ პროექტში იმისთვის, რომ თავიანთი ადგილი ეპოვათ საქართველოში. ეს ზურაბ ჭიაბერაშვილმაც აღიარა, რომ ჩვენ სახელმწიფო კი არ გვჭირდება, არამედ გვჭირდება კორპორაცია. ვარდების რევოლუცია ეს იყო მახინჯი მოვლენა, მაგრამ ქართული მოვლენა. ახლა რაც ხდება „ნაცმოძრაობის“ გარშემო, აღარაფერი მასში ქართული აღარ არის, ეს არის თავიდან ბოლომდე გარეშე ძალების, გლობალური ძალების ინტერესი. ამ დიდი ლიბერალური პროექტის კლიენტელაა „ნაცმოძრაობაც“ და რადიკალური, დესტრუქციული ოპოზიციაც, ანუ მათ ინტერესებზე მუშაობენ და იქიდან ხდება მათი შენახვაც...

**ესაუბრა**
**მანანა ნოზაძე**

# ვინ წყვეტს საქართველოს მომავალს პარლამენტში?

(მესამე გვერდიდან)

## „პატრიოტთა ალიანსი“

**ცესკოს მონაცემებით, „პატრიოტთა ალიანსს“ ამომრჩევლებმა 4 მანდატი მიანიჭეს, თუმცა ამ პარტიის სახელით ახლა პარლამენტში, დეპუტატებს შორის არავინ არის.**

„პატრიოტთა ალიანსის“ სიით პარლამენტში მოხვედრილმა ოთხმა დეპუტატმა, ფრიდონ ინჯიას ხელმძღვანელობით, 2021 წლის იანვარში, საკუთარი პარტია — „ევროპელი სოციალისტები“ დააფუძნა და მათი საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფიც ამ სახელით მოქმედებს. „ევროპელი სოციალისტების“ დეპუტატმა, ავთანდილ ენუქიძემ, ოპოზიციის კვოტით, ვიცე-სპიკერის პოსტიც დაიკავა.

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებმა 2020 წლის არჩევნები არალეგიტიმურად ცნეს და უარი თქვეს პარლამენტში შესვლაზე. რადგან მათი პარტიული სია გაუქმებული არ იყო, პარლამენტში მოხვდნენ სიის მეოთხე, მეხუთე, მეშვიდე და მერვე ნომრები. პარლამენტში შესვლის დღეს ფრიდონ ინჯია განმარტავდა, რომ ეს ნაბიჯი „ქართული ოცნების“ ოპონირებისთვის გადადგეს, თუმცა პოლიტიკოსების ჯგუფი ოპონირებით არ გამოირჩევა.

ცვლილება “ევროპელი სოციალისტების“ რიგებშიც მოხდა.

18 ოქტომბერს დეპუტატმა დავით ზილფიმინმა, პარტიის დამფუძნებელმა და პოლიტსაბჭოს წევრმა



განაცხადა, რომ პარტია „ევროპელი სოციალისტები“ დატოვა. პარლმენტის ოფიციალური ვებსაიტის თანახმად, ზილფიმიანი კვლავ ირიცხება პოლიტიკური ჯგუფის — „ევროპელი სოციალისტების“ წევრად.

„საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“, IRI-ის ბოლო კვლევით, გამოკითხულთა 72% მომავალი არჩევნებისთვის ახალი პოლიტიკური პარტიების ხილვას ისურვებდა; ხოლო არსებული სპექტრით მხოლოდ რესპონდენტების 22% აღმოჩნდა კმაყოფილი.

კვლევის თანახმად, პოლიტიკურ პარტიებს გამოკითხულთა მხოლოდ 15% ენდობა. ამასთან, გამოკითხულთა 52% სრულად ან ნაწილობრივ ემხრობა ვადამდელი არჩევნების ჩატარებას საქართველოში.

აშშ-ის „ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის“ — NDI-ს 2022 წლის ზაფხულის კვლევით კი, გამოკითხულთა უმრავლესობა (კვლავ) ფიქრობს, რომ პარლამენტი არ პასუხობს მოსახლეობის საჭიროებებს.

**ლელა კუნჭულია**
**„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი.**

# უშიში, ვითარცა უხორცო!..



## რევაზ მორგოშია – პატრიოტი, მშენებელი, მკვლევარი

**რევაზ (გული) მორგოშიას,** 2022 წლის 3 სექტემბერს დაბადებიდან 76 წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ მოესწრო. 30 ივლისს, შაბათს, დილის 10 საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, თბილისში აღესრულა.

რევაზი გახლდათ სიცოცხლის მოყვარული კაცი, ეროვნული მოძრაობის ლიდერების ზვიადისა და მერაბის ერთგული თანამებრძოლი, ქართული კულტურული მემკვიდრეობის მკვლევარი, **„ქართული ცნობიერების კავშირისა“** და მისი პერიოდული გამოცემის **„საქართველო – გეორგიას“**, დამფუძნებელი და წარმმართველი.

იგი მრავალმხრივი ინტერესებითა და შორსმჭვრეტელობით გამორჩეული, ფართო ჰორიზონტის მქონე პიროვნება იყო. მოგვყავს მისი ნაშრომებიდან საყურადღებო ამონარიდები:

### შვიდი თაობის საიდუმლოება:

**უახლესი შვიდი თაობის ზოგადი სახელები შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: პირველი – სკუა (ბერე – შვილი), მეორე – მუმა (მამა), მესამე – ბაბუ (მამის მამა), მეოთხე – პაპუ (ბაბუის მამა), მეხუთე – ჯამა (ბაბუის მამის, ანუ პაპუს მამა), მეექვსე – შამა (ბაბუას მამის ბაბუა) და მეშვიდე – იმპუ (შამას მამა, ანუ ბაბუის ბაბუს ბაბუა).**

სტატია ამ მოსაზრების შესახებ პირველად გაზეთ „**ერისიონის**“ 1990 წლის 20 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა. ავტორი წერს – ბუნებრივად დაისმის კითხვა – რა აუცილებლობა მოითხოვს შვიდი თაობის სახელთა ცოდნას? და თვითონვე იძლევა პასუხს: ეს იმიტომ, რომ სისხლის აჭრა (კვეთა, შერევა), არ მოხდეს. სისხლაჭრილ-არეული ჩვილი ფიზიკურად სუსტია, ხშირად ავადმყოფობს, ფსიქიკურად არამდგრადია, ნაადრევად ბერდება...

და იქვე განაგრძობს – კაცი რომ ოჯახს შექმნის რომელიმე გვარისშვილ ასულთან, შვიდი თაობის განმავლობაში, მის ნაშიერს უფლება არა აქვს ამ მონათესავე გვარის წარმომადგენელთან დაქორწინებისა, რადგან ახალი წყვილი, ახალი შვიდეულის ფუძემდებელია და მკაცრად უნდა დაიცვას თაობათა ჯანმრთელობისა და ზნეობის სიწმინდე, ე.ი. ახალი წყვილი ორივე ხაზიდან ყოველთვის მერვე უნდა იყოს.

წინაპართა რწმენით, ეს ადათ-წესები იცავს სისხლის სიწმინდეს, რასაც უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, ერის ჯანმრთელობის, ხასიათის, წიგნიერების, ნიჭიერების და სხვა ადამიანურ თვისებათა ჩამოყალიბება-განვითარებისთვის...

ასევე საინტერესოა რევაზ მორგოშიას ნაშრომი – **„ქართული ცნობიერების სათავეებთან“**. აი,მოკლე ამონარიდები ამ ნაშრომიდან:

**– ენა ცნობიერების უპირველესი მაჩვენებელია, გნებავთ, ენა და ცნობიერება განუყოფელია;**

**– მარგალი, მეგრული სიტყვაა და ნიშნავს დამრგველს;**

**– მეგრელობა, კოლხობა, იბერობა, სრულქმნილობას აღწევს ქართულში;**

**– ეგრისი – წინა ბერძნული მოსახლეობის არაბერძნული წარმოშობის ხალხის, კერძოდ, პელასგთა ერთ-ერთი ღვთაების, ორფეოსის მამის სახელია. ეაგროს, მითის მიხედვით, მდინარის ღვთაებაა;**

**– იბერიული ენა გახლავთ წარმართული ქართული ენა, როგორც კოლხური და მეგრული;**

**– ჩვენ ჭეშმარიტი ერი ვართ უშორესი საწყისებიდან, ვრცელ ტერიტორიაზე ბუნებრივად განფენილი და არავითარ შემთხვევაში, დაპყრობითი პოლიტიკის წარმოების შედეგად წარმოქმნილი;**

**– ქართველობა ღვთიური ღირსებაა, რომელიც მონობაში არ ზეობს. იგი დაუსაბამოა, ძველთაძველია. ქრისტიანობა ჩვენთვის ერთია და განუკვეთელი. ქრისტეს კვართი დაფლეს მცხეთაში, სადაც აღიმართა ძელი ცხოველი, მოგვიანებით, ჩვენი საამაყო სვეტიცხოველი...**

* * *

**რევაზ მორგოშია გახლდათ წარმატებული ინჟინერ-მშენებელი, საქვეყნო საქმის ორგანიზატორი, წალენჯიხის დიდი მოამაგე:**

მშობლიური წალენჯიხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობა, როგორც ნატვრა, ოცნება, მას მუდამ აწუხებდა და 1970-იან წლებში, როგორც დედაქალაქის ერთ-ერთი უწყების წამყვანმა სპეციალისტმა, თავისი გონივრული მოქმედებით შეძლო ლაკადის ორ ქალაქში – წალენჯიხასა და ჯვარში, ორი მასშტაბური შენობა-ნაგებობის გეგმაში „ჩასმა“ და დაპროექტება. მერე ის მშენებლობაშიც აქტიურად მონაწილეობდა.

ქალაქ წალენჯიხის ეს სამსართულიანი შენობა მაინც განსაკუთრებულია: ღია აივნები, ნათელი გალერეა, ფართო დარბაზები, ნამდვილი სამუზეუმო, საექსპოზიციო სივრცეები; სახურავი ქრისტიანული ჯვრის ფორმითაა გამოხატული, რაც, ალბათ, ერთადერთი და საყურადღებო შემთხვევაა ჩვენი მხარის უძრაობის ხანის ისტორიაში.

აღნიშნული შენობა კარგად ჩანს ჭანისწყლის ხიდიდან. ასე რომ, დროა აღსრულდეს ოცნება – დღესაც კარგ მდგომარეობაში მყოფი, მაგრამ სხვა სამსახურში ჩამდგარი შენობის გადახალისება და მხარეთმცოდნეობის მუზეუმად გამოცხადება!

ეს საშვილიშვილო საქმეა, ვინაიდან მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, როგორც კულტურის უპირველეს კერას, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში, გარდა წალენჯიხისა, გამორჩეული შენობა-ნაგებობა უკავია!

* * *

### უიშვიათესი ცხოველის თახვის შემომყვანი საქართველოში.


თახვი -- წყალხმელეთა ცხოველი

ამ თვალსაზრისით რევაზ მორგოშიას თაოსნობა მართლაც უნიკალურია. მან შეძლო თანამოაზრე ბუნების ქომაგთა თანადგომით, ვორონეჟის (რუსეთის ფედერაცია) სახელმწიფო ნაკრძალიდან თახვის – XX საუკუნის დამდეგს ჩვენში გადაშენებული წყალხმელეთა ცხოველის შემოყვანა, მომრავლება და ხალხური მედიცინის გამოცდილების გათვალისწინებით თახვისეული სამკურნალწამლო საშუალებათა მიღების ძირძველი ტრადიციის აღდგენა.

უფრო ვრცლად აღნიშნულის თაობაზე მოთხრობილი იყო გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ (1988 წ.).

რევაზ მორგოშიას ამ წინადადებას იწონებდნენ და მაღალ შეფასებებს აძლევდნენ ცნობილი მედიკოსები, პროფესორები ბაადურ რაჭველიშვილი და მიხეილ შენგელია, აგრეთვე, ცხოველთა სამყაროს მკვლევარი მეცნიერ-ზოოლოგები ალექსი არაბული, თამარ კოხოძე, ბორის ყურაშვილი და სხვ.

* * *

### დაგოლოს, მისი დისიდენტური მოღვაწეობის შესახებ:

**ჩვენს საზოგადოებას კარგად ახსოვს ბატონი რევაზ მორგოშია, საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი, საქართველოს პირველი და ერთადერთი ლეგიტიმური პრეზიდენტის, ერთგული თანამებრძოლი, რომელიც 1998 წლის 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციის მიღების (1948) 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგის დარბევისას თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, სრულიად უდანაშაულოდ დააპატიმრეს, ციხეში ჩასვეს, სადაც მან მშრალი შიმშილობა გამოაცხადა.**

მსგავსი შემთხვევები მრავალჯერ განმეორებულა, რამაც მას დროთა განმავლობაში ჯანმრთელობა სერიოზულად შეურყია. სიცოცხლის ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში სარეცელს მიაჯაჭვა, რაც საბედისწეროდ დასრულდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რევაზ მორგოშიას ევროპაში თითქმის ცხრა წლის განმავლობაში იძულებით გადახვეწის ამბავი, სადაც დისიდენტური მოღვაწეობა წუთითაც არ შეუწყვეტია, რამეთუ მავანთა დარად იგი გერმანიაში, იტალიაში, ჰოლანდიაში... გასამდიდრებლად და პირადი კეთილდღეობის მოსაწყობად არ ჩასულა.


წალენჯიხის სამუზეუმო ნაგებობა

რევაზ მორგოშია ყოველმხრივ ამხელდა რუსეთსა და მისგან დაპყრობილ, „დამოუკიდებელ“ საქართველოში გამეფებულ უკანონობას, უსამართლობასა და ადგილობრივი, მმართველი კოლაბორაციონისტებისაგან შეფარვით, დემოკრატიულობის ნიღბით ავტორიტარული რეჟიმის დამყარებას. ძლიერთა ამა სოფლისათა, ამერიკასა და ევროპაშიც კი ხმას აწვდენდა, მათი მისამართით დაუფარავად აცხადებდა, აფრთხილებდა, რომ ძალიან ძვირი დაუჯდებოდათ, საქართველოდან მათთან ჩასული, პოლიტიკოსებად წოდებული ხუნტისტ-პუტჩისტებისა და რუსეთის ჯოჯოხეთური იმპერიის, ყოვლად არაადამიანური, დღემდე აღზევებული, აგრესორ-კრიმინალი ვითომ პრეზიდენტის, თავიანთ ქვეყნებში პატივისცემით მიღება და მოღიმარი სახით მისთვის ხელის ჩამორთმევა.

დრომ დაამტკიცა, რომ რევაზ მორგოშიას მაშინდელი მოქმედებები სრული სიმართლე აღმოჩნდა.

ამ საოცარი ბედისწერის მქონე მამულიშვილზე ჩვენ, ამ წერილის ხელისმომწერებს საუბრის გაგრძელება შორს წაგვიყვანდა. ამით გვსურს, თხრობა დავასრულოთ და ბატონი **რევაზ მორგოშიას** უკვდავ სულს მარადიულ სასუფეველში დამკვიდრება ვუსურვოთ.

**ქეთევან აბდალაძე, ვახტანგ ბახტაძე, აულა გიგაური, ნანა გიგაური, გურამ ისაკაძე, გიორგი კერვალიშვილი, გვანჯი მანია, გურამ მაქაცარია, ხუტა პაჭკორია, იგორ ჩხეიძე.**





აშშ-ის პრეზიდენტები, საათის ისრის მიმართულებით, ზემოდან: ბარაკ ობამა, თომას ჯეფერსონი, ენდრიუ ჯონსონი, დონალდ ტრამპი, ტედი რუზველტი, ჯო ბაიდენი, ჯონ კენედი.

# ამერიკის პრეზიდენტები – ბრწყინვალე და ნაკლებად ბრწყინვალე გონებით

**დონალდ ტრამპი, აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი, ხში-რად მიუთითებს საკუთარ უმაღლეს ინტელექტზე და მან თავი „ძალიან სტაბილურ გენიოსად" გამოაცხადა.**

ტრამპმა უარი თქვა სკოლის ჩანაწერების გამოქვეყნებაზე, მაგრამ პრეზიდენტების ისტორიკოსს, ბარბარა პერის, ყოფილი პრეზიდენტის გონებრივ შესაძლებლობებზე, გარკვეული შეხედულებები აქვს.

**„ვფიქრობ, ის ჩვენი ყველაზე ცბიერი, გამჭრიახი პრეზიდენტია და ვფიქრობ, ეს გარკვეულ ინტელექტს მოითხოვს. ასე რომ, შესაძლოა, ზოგიერთი პრეზიდენტი, თანდაყოლილი ბრწყინვალებისა და ინტელექტის ნაკლებობას, გამჭრიახი და სხარტი გონებით ანაზღაურებს. მან აშკარად იცის, როგორ იმუშაოს ხალხთან, ამიტომ, მას ამას არ წავართმევ"** — ამბობს „ამერიკის ხმასთან" საუბრისას, ვირჯინიის უნივერსიტეტთან არსებული „მილერის ცენტრის" საპრეზიდენტო კვლევების დირექტორი, ბარბარა პერი.

ფსიქოლოგმა დინ საიმინტონმა, 2006 წელს, აშშ-ის პრეზიდენტების ინტელექტის რაოდენობრივი შეფასება გადაწყვიტა და მათი IQ-ის დაახლოებითი დონე გამოთვალა. აშშ-ის რომელი პრეზიდენტები იყვნენ, სინამდვილეში, გენიოსები? ამის დასადგენად, სხვა ფაქტორებს შორის, საიმინტონმა მათი „ინტელექტუალური ბრწყინვალება" და გამოცდილებისადმი გახსნილობა გამოიყენა.

მიუხედავად იმისა, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ **ჯონ ქუინსის,** ამერიკის პრეზიდენტებს შორის, ინტელექტის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი ჰქონდა (IQ — 175), საიმინტონი ამბობს, რომ ნამდვილი გენიოსი, ქვეყნის მესამე პრეზიდენტი, თომას ჯეფერსონი იყო, რომელსაც განსხვავებულ სფეროებში, ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდა. მისი IQ 160 იყო.

**„ის დიდებული მწერალია. როგორც იცით, ის არის ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის მთავარი ავტორი. ის ასევე იყო დიდებული არქიტექტორი, — მან დააპროექტა არა მხოლოდ საკუთარი სასახლე, არამედ ასევე, ვირჯინიის უნივერსიტეტის მთავარი კამპუსი. ის იყო პოლიტიკური თეორეტიკოსი. მან დაწერა მრავალი პოლიტიკური თეორია, რომელიც საფუძველს უქმნის ჩვენს კონსტიტუციას. იყო ბიბლიის მკვლევარი. ის ასევე იყო ერთ-ერთი პიონერი სოფლის მეურნეობაში, მათ შორის მევენახეობა-მეღვინეობაში. და რა თქმა უნდა, ის იყო დიდი დიპლომატი და დიდი პრეზიდენტი. ასე რომ, ინტელექტუალური თვალსაზრისით, გასაოცარი ბიჭი იყო"** — ამბობს კალიფორნიის უნივერსიტეტის დევისის ცენტრის პროფესორი, დინ საიმინტონი.

საიმინტონის ანალიზი არ მოიცავს არც ერთ პრეზიდენტს, 2006 წლის შემდეგ. თუმცა, ვირჯინიის უნივერსიტეტის „მილერის ცენტრის" საპრეზიდენტო კვლევების დირექტორი, ბარბარა პერი, ამერიკის უახლესი ლიდერების შესაფასებლად მრავალ ფაქტორს იყენებს, მათ შორის, — თანდაყოლილ ინტელექტს, სასკოლო და საუნივერსიტეტო ჩანაწერებსა და შეფასებებს.

**„კრიტერიუმებს შორის ასევე საყურადღებოა, წერს თუ არა პრეზიდენტი სიტყვით გამოსვლისთვის ტექსტებს თავად? — ეს აჩვენებს, რომ ის დამოუკიდებელი მოაზროვნეა. ეს ასევე აჩვენებს, რამდენად კარგი ორატორი და ენაწყლიანია. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, არის თუ არა პრეზიდენტი ელეგანტური და მჭერმეტყველი, საკუთარი პოლიტიკის წარდგენისას. ძალიან მნიშვნელოვანია პრეზიდენტების წერის, საუბრის — ნათლად საუბრის უნარები. არის თუ არა მათი პოლიტიკა მათივე იდეებზე დაფუძნებული" — ამბობს პერი.**

სწორედ ამ კრიტერიუმების გამოყენებით, პერი აშშ-ის 44-ე პრეზიდენტს, „ინტელექტის უმაღლეს კატეგორიაში" აყენებს.

**„ობამას და ბილ კლინტონს, აუცილებლად საუკეთესო ხუთეულში დავაყენებდი. ამ მამაკაცებს, აქვთ საუკეთესო აღქმის, ანალიზისა და მათი სინთეზირების კარგი უნარი, რაც ჩემთვის სიკაშკაშის ნამდვილი ნიშანია"** — ამბობს პერი.

საიმინტონი ამბობს, რომ შეზღუდული ინფორმაციის გამო, ძნელია ტრამპის შეფასება და ასევე იმის გამოც, რომ 45-ე პრეზიდენტის კომუნიკაციის საყვარელი მეთოდი და გზა „ტვიტერი" იყო, რომელიც აზროვნების კომპლექსურობას არ ასახავს.

რაც შეეხება ამჟამინდელ პრეზიდენტს, ბარბარა პერი ამბობს, რომ ბაიდენი ამერიკის ყველაზე კაშკაშა ლიდერებს შორის არ არის.

**„განსაკუთრებით ინტელექტუალურად მკაფიო, ან მიმზიდველად ის არასდროს დამინახავს. ვფიქრობ, ამას ასევე აჩვენებს სკოლები, სადაც ის სწავლობდა. მას არ დაუმთავრებია ტოპ ელიტურ სკოლებში ბაკალავრიატი, ან ასპირანტურა... ასე რომ, მე უბრალოდ ვფიქრობ, რომ ის საშუალო ინტელექტისაა. მაგრამ, ცხადია, რომ მან ყველაფერი მისი პიროვნების ძალით შეძლო"** — ამბობს პერი.

საიმინტონი ამბობს, რომ ამერიკის პრეზიდენტები, ზოგადად, „უდავოდ უფრო ჭკვიანები არიან, ვიდრე ზოგადად მოსახლეობა." თუმცა, არ შეძლება ლიდერები უფრო ჭკვიანებად გამოიყურებოდნენ, ვიდრე მათი მიმდევრები, რადგან ადამიანები არ მიჰყვებიან ლიდერებს, რომლებსაც მათი არ ესმით.

ორივე მკვლევარი, ბარბარა პერი და დინ საიმინტონი თანხმდება, რომ ბრწყინვალე გონების მქონე, ძირითადად ამერიკის ადრეული პრეზიდენტები იყვნენ.

**„ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც დასაწყისში საკმაოდ ნათელი პრეზიდენტები გვყავდა, არის ის, რომ ისინი არ იყვნენ საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის გზით არჩეული. ისინი ელექტორების მიერ იყვნენ არჩეული, რომლებსაც თავის მხრივ შტატის კანონმდებლები ირჩევდნენ... და თუ გყავს ვინმე, რომელიც ლიდერთა ლიდერია — აღმასრულებელი დირექტორის მსგავსად, რომელიც ქვედა ხაზის მენეჯერების ლიდერია, მაშინ ისინი უფრო გონიერები არიან... მე, ასევე ჩავატარე კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ ზოგადად, პრემიერ-მინისტრები უფრო გონიერები არიან, ვიდრე შეერთებული შტატების პრეზიდენტები, რადგან ისინი სხვა ლიდერების მიერ არიან არჩეული. ამისთვის კი, საკმაოდ ჭკვიანი უნდა იყო"** — ამბობს საიმინტონი.

ამერიკის ყველაზე ნაკლებ კაშკაშა პრეზიდენტებს შორისაა **უორენ ჰარდინგი,** რომლის პრეზიდენტობა სკანდალმა შეძრა; **ენდრიუ ჯონსონი,** რომელიც თერძი იყო და არასდროს მიუღია სასკოლო განათლება; და **კელვინ კულიჯი,** რომელსაც, როგორც ცნობილია, თუ სადილის შემდეგ დასვენებას გამოტოვებდა, შუადღის შეხვედრებზე ეძინა.

## „მშვიდობა იარაღით ვერ მიიღწევა"



**რომის პაპმა ფრანცისკემ განაცხადა, რომ ვატიკანი მზად არის ყველაფერი გააკეთოს მოსკოვსა და კიევს შორის შუამავლობისთვის,** — ამის შესახებ მან იტალიურ გაზეთ La tampas-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. კითხვაზე, სჯერა თუ არა მოსკოვისა და კიევის შერიგების შესაძლებლობის, პონტიფიკოსმა ყველას მოუწოდა, არ დანებდნენ და აღნიშნა, რომ მშვიდობა შესაძლებელია.

**„ჩვენ ყველა უნდა ვიყოთ პაციფისტები. მშვიდობა იარაღით ვერ მიიღწევა"**, — აღნიშნა რომის პაპმა და დასძინა, რომ ორ ქვეყანას შორის დიალოგი უნდა შედგეს. მანამდე კი, რომის პაპმა ფრანცისკემ განაცხადა, რომ რუსი სამხედროების სისასტიკე, რომლითაც ისინი მოქმედებენ უკრაინაში, არ არის დამახასიათებელი რუსი ხალხისთვის.

## შეთანხმება „ზარალისა და ზიანის" შესახებ

**გაეროს კლიმატის ცვლილების 27-ე კონფერენციაზე ისტორიულ შეთანხმებას მიაღწიეს. 200-მდე ქვეყანამ მხარი დაუჭირა ყოვლისმომცველ შეთანხმებას „ზარალისა და ზიანის" შესახებ, რომელიც განვითარებად ქვეყნებს დაეხმარება.**



შეთანხმების ფარგლებში შეიქმნება ფონდი კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციისთვის, რომელსაც გარდამავალი კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით გასცემენ. აღნიშნული კომისია დაკომპლექტებული იქნება 10 განვითარებული და 13 განვითარებადი ქვეყნის წარმომადგენლისგან. ფონდის ბენეფიციარები კი განვითარებადი სახელმწიფოები იქნებიან, რომლებიც ყველაზე მოწყვლადები არიან.

## ნატო უკრაინას გვერდით უდგას

**უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგი მთელი ასწლეულისთვის გადამწყვეტი იქნება,** — ამის შესახებ აშშ-ის თავდაცვის მდივანმა, ლოიდ ოსტინმა განაცხადა. ოსტინის თქმით, სწორედ ეს შედეგი დაეხმარება მათ განსაზღვრონ გლობალური უსაფრთხოების კურსი. ლოიდ ოსტინის განცხადებით, ნატო თავდაცვითი ალიანსია და ის რუსეთთან კონფრონტაციისკენ არ მიისწრაფის, თუმცა განაგრძობენ უკრაინის გვერდით დგომას, ქვეყნის რომელიც საკუთარ თავს იცავს.

**„აშშ-ის ხელმძღვანელობამ ხელი შეუწყო წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბებას. მსოფლიოს არ სურს უკან დაბრუნება, არ სურს გაგრძელდეს აჯანყების, ქაოსისა და ომის ახალი, საშინელ ეპოქა. რუსეთის შემოჭრა კი გვთავაზობს ტირანიისა და არეულობის შესაძლო სამყაროს, არეულობას, რომელშიც არც ერთ ჩვენგანს არ სურს ცხოვრება. პუტინს მეგობარი ავტოკრატები უყურებენ და შეუძლიათ დაასკვნან, რომ ბირთვული იარაღის მოპოვება მათ ნადირობის ლიცენზიას მისცემს, ამან შეიძლება ბირთვული იარაღის გავრცელების სახიფათო სპირალი გამოიწვიოს",** — განაცხადა ოსტინმა.

## გაზაფხულის მიწურულისთვის ეს ომი დასრულდება

**ჩემი აზრით, გაზაფხულის მიწურულისთვის ეს ომი დასრულდება,** — ამის შესახებ ტელეკომპანია „სქაი-ნიუსთან" ინტერვიუში უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ვლადიმირ გავრილოვმა განაცხადა. მისი თქმით, გამორიცხული არ არის, უკრაინული ძალები ყირიმშიც შევიდნენ.

კითხვაზე, როდის დაიწყება მოლაპარაკებები, გავრილოვი აცხადებს, რომ მხოლოდ მაშინ შედგება, როდესაც რუსები მზად იქნებიან, დატოვონ უკრაინის ტერიტორია. მინისტრი ასევე არ გამორიცხავს, რომ რუსეთი შესაძლოა, რაიმე მასშტაბური მოვლენის გამო, ე.წ. შავი გედის თეორიის წინაშე აღმოჩნდეს მომდევნო 2-3 თვის განმავლობაში, რაც შესაძლებლობას მისცემს უკრაინას, გარკვეულ წარმატებას მიაღწიოს ყირიმში, თუნდაც დეკემბრის მიწურულისთვის. რა შეიძლება იყოს ასეთი მასშტაბური მოვლენა, მინისტრი აღნიშნავს, რომ – პუტინის გაუჩინარება.



# განცხადება

## სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

| | |
|---|---|
| 1. | მობილური მანქანების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი – ერთი საშტატო ერთეული. |
| 2. | თბოენერგეტიკული დანადგარების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი – ერთი საშტატო ერთეული. |
| | |

### კონკურსის პირობები:

**მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. მიღებული შედეგების ანალიზი და სამეცნიერო ანგარიშების შედგენა.**

### კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

| | |
|---|---|
| ა) | განცხადება; |
| ბ) | პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; |
| გ) | ავტობიოგრაფია (CV); |
| დ) | დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი; |
| ე) | გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები ( ბოლო 5 წლის განმავლობაში); |
| ვ) | ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს; |
| ზ) | სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა დამუშავებაშიც იღებდა მონაწილეობას (ბოლო 5 წლის განმავლობაში); |
| თ) | სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი; |
| ი) | პატენტები, საავტორო მოწმობები, ლიცენზიები და მის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი; |
| კ) | შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი). |
| | |
| | საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში მისამართზე: თბილისი, ე. მინდელის ქ.#10. |
| | |
| | **საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2022 წლის 19 დეკემბერი.** |
| | |
| | დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ – სვეტლანა ჩაგელიშვილს ტ.: 593 234 025, 2 329017 |

# ნეოლიბერალიზმი საკაცობრიო უბედურებაა, იგი უნდა დასამარდეს!

(მეოთხე გვერდიდან)

განა არ იცით ევროპულად განათლებულმა იურისტმა, რომ ცალმხრივი ერთგულება მონათმფლობელთან მონის „მეგობრობაა“? იცით, მაგრამ ღირსებით იმ სკამზე დაბლა დგახართ, რომელ სკამზეც ზიხართ!

**ამ ხელისუფლების კრიტიკას მუდამ ფრთხილად ვეკიდები, ვცდილობ კატეგორიულ შეფასებებს მოვერიდო, რადგან სულ მგონია, რომ ქოცების კრიტიკა ნაცების წისქვილზე უშვებს წყალს, მაგრამ რომ ვცდები, ამასაც ვგრძნობ. როდესაც კოჰაბიტაციისკენ გვიბიძგა ხელისფულებამ, მაშინ გამოვედი საჯაროდ და ვთქვი: მტრის შეყვარება დანაშაულია-მეთქი! მტერი თუ არ გნებდება, უნდა გაანადგურო! – ეს არის ურყევი ჭეშმარიტება, რაც მარტო ისტორიულ მოვლენებში კი არა, ფოლკლორულ ნიმუშებშიც არის განმტკიცებული. ყველაზე უწყინარი და შემწყნარებლური შინაარსის ანდაზაც კი ამაზე მოგვითხრობს: „ღორის ტილს ფეხზე რომ დაისვამ, თავზე აგაცოცდებაო“ ჭეშმარიტად ასეა!**

აბა ნახეთ, რა ხალხის კანდიდატურებს განიხილავს ჩვენი ხელისუფლება ე.წ „სახალხო დამცველის“ პოსტზე. მათ შორის ყველაზე რეიტინგულია ანა აბაშიძე. იცით რა განაცხადა ამ „რეიტინგულმა“ რჩეულმა? ჯავახეთში, სადაც ქართველი მოსახლეობა 5%-ზე ნაკლებია, ქართული ოჯახების გამრავლების სურვილი და საამისო საქმიანობა ანტიჰუმანურობა, დანაშაულიაო. ასე თქვა, ასე! ამ არსებას ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონია თურმე!. ვის მოსწონს და ვინ უჭერს მხარს? რა ჯიშისა და ჯილაგისანი არიან ეს უბედურები, ქართული წარმომავლობისანი თუ არიან, თორემ თუ ქართველთა მტრები არიან, მსჯელობაც უადგილოა, მტერს მტრულად უნდა მოექცე!

სადავოა აქ რაიმე? მამალი ლიბერასტი თუ არ ხარ, პასუხი ჩემთვის აშკარაა. მამალი ლიბერასტი თუ ხარ, მაშინ წადი და მეძავის პროფესიას „ჩაეხუტე“, შენი პასუხი არ მაინტერესებს!

ამ ლიბერასტების მარაქაში ჩვენი „ძვირფასი“ ხელისუფლებისთვის ყველაზე ახლობელი და მისაღები ყოფილა ზურაბა გირჩის პარტიის განაყარი პატარა გირჩი იაგო ხვიჩია, რადგან იგი ხანდახან ოპოზიციასაც თითქოს აკრიტიკებს ხოლმე. ეს იაგოა თუ კასიო, სახალხო დამცველის პოსტზე აცხადებს პრეტენზიას, თან პარლამენტის წევრიც არის – საპარლამენტო კომიტეტზე მოსმენისას, გვარიანი „ლაყაფი გაუშვა“. ამბობენ უმაღლესში (სად ნეტავი?) ასწავლის იურისპრუდენციის პროგრამულ საგნებსო. შეიძლება! უმაღლეს სასწავლებელში უნამუსო ლევანიც ლექტორობს, მერე რა! ჰოდა ამ იაგორამ იმისთანა ფსიქო-ფილოსოფიური ბოდვა დაიწყო სხეულზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით, რომ ქათამსაც კი გაეცინებოდა. კი გაეცინებოდა, მაგრამ ქათამი ვერ მიხვდებოდა იმას, რომ ამ ვიღაც იაგომ არ იცის, რომ ადამიანი სოციალური ცხოველია და სხეული ადამიანის ერთიანი სტრუქტურის დამოუკიდებელი ნაწილი არ არის და კითხვა: შენი სხეული შენი საკუთრების არის თუ არა? – სრული უაზრობაა.

აი, ასეთია ყველაზე მისაღები კანდიდატი სახალხო დამსმენის (თუ დამცველის) პოსტზე ჩვენი მშიშარა უმრავლესობისთვის!

მართლა ვინ ხართ თქვე უბედურებო, რას დაგამსგავსათ ამ ლიბერასტურმა დასავლეთმა, მართლა ვერ ხედავთ ამას?

თითქოს ბანალური ჭეშმარიტებაა, მაგრამ შექსპირის ერთი პერსონაჟის ნათქვამი „ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის“ უკვდავ ფორმულად იქცა.

ბოროტიც და სულელიც, ჩათლახიც და პედერასტიც – ინგლისშიც, ამერიკაშიც, საფრანგეთშიც, გერმანიაშიც და სხვაგანაც ბოროტი, სულელი, ჩათლახი და პედერასტია. აბა, აქ რომ წაგვჭამეს თავი, ეს შარლ მიშელის რეკომენდაციაა, ეს კარლ ჰარცელისა თუ ბუკიკიოს რჩევაა, ეს ვენეციის კომისიის დასკვნაა, ეს ჰააგის სასამართლოს განჩინებაა და ამიტომ უნდა მივყვეთ მასო – რასაა რომ გვაიძულებენ, ნეტავი? ჩვენ ჩვენი სულელები თუ ჭკვიანები არ გვყავს? „აირაიმ“ და „ენდიაიმ“ თუ უფრო იცის, ხაშურსა თუ სენაკში ვინ არის ავტორიტეტი, თუ ხაშურლებმა და სენაკელებმა იციან ეს?

აზრზე, მოდით, ყოფილო ქართველებო, რომლებსაც ჩაგაგონეს, რომ ყველაფერი სხვას, უცხოს, ოკეანისგაღმელს უნდა დაუჯეროთ, დაუბრუნდით თქვენს ჯიშსა და ჯილაგს და ირწმუნეთ, რომ თქვენი „შინ“ აქ არის!

**ასე თუ არ იზამთ, ის დაგემართებათ, რაც ტამანგოსა და მის აჯანყებულ თანამოძმე მონებს დაემართათ .**

**ამ წერილის მთავარ სათქმელს მაინც ასე გეტყვით: ნეოლიბერალიზმი საკაცობრიო უბედურებაა, იგი უნდა დასამარდეს!**



**ზურაბ ცუცქირიძე,**
555-56-75-37

# ზამთარში უშუქოდ დარჩენა არ გვემუქრება

(მეხუთე გვერდიდან)

**სასწრაფოდ გვჭირდება წყალსაცავიანი ჰესების მშენებლობის გააქტიურება.ეს ერთი და მნიშვნელოვანი დასკვნა ენგურიდან გამომდინარე, თორემ ენგურჰესი არ არის ბაზისური სადგური. ენგური აშენებული იყო სსრკ-ს დროს პიკური დატვირთვების დასაფარად და მას უნდა ემუშავა წლის განმავლობაში მხოლოდ პიკური დატვირთვების დასაფარად. ჩვენ კი ვამუშავეთ დღე და ღამე ბაზისური სიმძლავრით და ამის შედეგია, რომ წყალი ენგურზე აღარ გვაქვს. აი სიტუაცია,** – აცხადებს ენერგეტიკოსი. გია არაბიძის თქმით, ელექტროენერგიაზე არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ზამთარში იმპორტი დაგვჭირდება.

**– ჩვენთან ჯერ კიდევ თბილა. იმპორტი დაგვჭირდება ალბათ დეკემბრისკენ, იანვარი, თებერვალიც ცივია. თუმცა ჩვენ მაქსიმალურად ვამუშავებთ თბოელექტროსადგურებს, იმიტომ რომ გაზის შემოდინება დარეგულირებული გვაქვს. დაახლოებით წლის ბოლომდე ჩვენი კავკასიური გაზსადენი 20 მლრდ-მდე კუბ/მ გაზს გაატარებს და იქიდან დარჩენილი 5% და ოფციური შესაძენი და ასე შემდეგ, შედარებით უკეთესი სიტუაცია გვაქვს გაზის მომარაგების მიმართულებით. შარშან 18 მლრდ კუბ/მ იყო, იმის წინ 16 მლრდ კუბ/მ და ასე შემდეგ. ანუ შედარებით მეტი გაზი გავატარეთ, მეტ გაზს გავატარებთ და მეტი გაზი დაგვრჩება და თბოელექტროსადგურების მუშაობას უფრო თამამად შევძლებთ. აი ეს იმპორტი დაფარავს ენგურს“,** – აცხადებს ენერგეტიკოსი.

შეგახსენებთ, რომ ენგურჰესის ტექნიკურმა დირექტორმა გია ხუბუამ განაცხადა, რომ ენგურჰესის წყალსაცავში წყლის დონე საპროექტო მინიმუმს ჩამოსცდა, რაც ასე ადრე პირველად მოხდა.

გია ხუბუას განმარტებით, აღნიშნულის მიზეზი კი ელექტროენერგიაზე მოთხოვნილების პერმანენტული ზრდაა.

**„ენგურჰესის წყალსაცავში წყლის დონე ჩამოსცდა საპროექტო მინიმუმს. ზამთრის მარაგი მთლიანად ამოწურულია. ასე ადრე ეს პირველად მოხდა. მიზეზი – ელექტროენერგიაზე მოთხოვნილების პერმანენტული ზრდაა. წყალუხვი წელი არ იყო, მაგრამ არც წყალმცირე ეთქმის, ორივე მოქმედ ჰესზე საშუალო წლიურზე მეტი ელექტროენერგია გამოვიმუშავეთ – წლის ბოლომდე ჯამი ასცდება 4, 5 მილიარდ კვტ.სთ-ს. თბობლოკები და იმპორტი იქნება დენის ძირითადი წყარო ოთხი თვის განმავლობაში. აფხაზეთი, სადაც ზამთარში განსაკუთრებით იზრდება მოხმარება, დიდწილად რუსეთზე იქნება დამოკიდებული, ზამთრის ჩამონადენით ენგური გალი-ოჩამჩირეზე მეტს ვერ დააკმაყოფილებს. რთული ვითარებაა, საიდანაც გამოსავალი ახლო მომავალშიც არ ჩანს,** – აცხადებს გია ხუბუა.

# მეტი ქართული, ხარისხიანი პროდუქტი!

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ, ფერმერის დღის ფარგლებში ორგანიზებული ქართული აგროპროდუქციის გამოფენა დაათვალიერა.

**„თითოეულ ფერმერს ვულოცავ დღევანდელ დღეს. ეს ადამიანები ბევრს შრომობენ, ქმნიან დოვლათს, აძლიერებენ საკუთარ ოჯახებსა და ქვეყნის ეკონომიკას. ფერმერის დღე სწორედ მათი და მათი საქმიანობის დაფასებისთვის არის დაწესებული. წლების განმავლობაში, ჩვენი მთავრობა აქტიურად ეხმარება ფერმერებს პირველადი წარმოების, გადამუშავების, მარკეტინგული ღონისძიებების, პროდუქციის რეალიზაციის განხორციელების მიმართულებებით. ერთობლივი ძალისხმევით, ჩვენ შევძელით, რომ სოფლის მეურნეობაში, ყოველწლიურად, გვაქვს სულ უფრო მეტი წარმოება, მეტი ექსპორტი. კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ზრდის ხელშეწყობისთვის, მთავრობის მხრიდან ფერმერების მხარდაჭერა, რა თქმა უნდა, გაგრძელდება“,** – განაცხადა ოთარ შამუგიამ.

◉ ძლევაი საკვირველი

# სეისმური შოკი რაგბის სამყაროსთვის



**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ნოემბერში სამი სატესტო მატჩი გამართა: ჯერ ურუგვაის აჯობა შინ, შემდეგ სამოასთან ერთი ქულით წააგო, ხოლო გასვლით ორთაბრძოლაში, რომელსაც კარდიფმა უმასპინძლა, უელსის ნაკრების დამარცხებით, როგორც „გარდიანი“ წერს, რაგბის სამყაროში სეისმური შოკი გამოიწვია.**

### უელსი-საქართველო 12:13

**უელსი:** რის-ზამიტი, კატბერტი, ნორსი, ვოტკინი, ადამსი, პრისტლენდი, უილიამსი, თომასი, ოუენსი, ლუისი, კარტერი, ბირდი, მორგანი, ტიპურიჩი, მაკლოიდი.

2ლ: მორგანი. გ: პრისტლენდი.

**საქართველო:** ნინიაშვილი, მოდებაძე (ხმალაძე 54), თაფლაძე, შარიქაძე, თოდუა, აბჟანდაძე (მატკავა 75), ლობჟანიძე (1-8) გოგიჩაშვილი (აბულაძე 60), ჭყოიძე (მამუკაშვილი 51), პაპიძე (ქუნთელია 66), ჭეიშვილი, მიქაუტაძე (ჩაჩანიძე 65), სალინაძე, გორგაძე, ჯალაღონია (მამამთავრიშვილი 72).

ლ: თოდუა, 2ს: აბჟანდაძე, მატკავა. გ: აბჟანდაძე.

**მსაჯი:** ანდრეა პიარდი (იტალია).

„ბორჯღალოსნები“ უელსის ნაკრებს მეოთხედ შეხვდნენ და სამი წაგების შემდეგ პირველად იზეიმეს გამარჯვება. ამ წარმატებისკენ ჩვენები დიდი ხანია, ნელ-ნელა მიიწევდნენ. კარდიფში პირველი ტაიმის მესამე წუთზე, მართალია, ანგარიში ქართველმა მორაგბეებმა გახსნეს (თედო აბჟანდაძე), მაგრამ უპირატესობას უელსელები ფლობდნენ და შესვენებამდე 12:3 დაწინაურდნენ. მეორე ტაიმში მატჩის სადავეები ქართველებმა იგდეს ხელთ და საბოლოოდ 13:12 გაიმარჯვეს. ამ წარმატებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა უცხოურ პრესაში: „საქართველომ ბოლომდე იბრძოლა და „ბორჯღალოსნების“ ექვს ერში შეყვანის მოწოდებები კიდევ უფრო გაძლიერდება“, – წერს Telegraph-ი...

„ბორჯღალოსნები“ უელსის ნაკრებს გაისად მსოფლიოს თასზე 7 ოქტომბერს დაუპირისპირდებიან.

**თორნიკე ბერიკაშვილი**

◉ ფარიკაობა

# ტოკიოს ვერცხლის პრიზიორს – მსოფლიოს თასი



**სამი ქართველი სპორტსმენი (მწვრთნელები – მალხაზ მესხი და მერაბ ბაზაძე) მონაწილეობდა პარამოფარიკავეთა მსოფლიოს თასზე, რომელსაც უნგრეთის ქალაქმა ეგერმა უმასპინძლა.**

პარამოხმალავეთა A ჯგუფში ტოლი არ ჰყავდა ტოკიოს პარალიმპური თამაშების ვერცხლის მედალოსანს **ნინა თიბილაშვილს,** რომელიც, რეიტინგის გათვალისწინებით საკვალიფიკაციო ეტაპიდან თავისუფალი იყო.

პლეი ოფის პირველ წრეში ნინამ შან პუი ფანი (ჰონკონგი) დაჯაბნა – 15:3, შემდეგ მარტა ფიდრიჩი (პოლონეთი, 15:6), ანდრეა ევა ჰაიმაში (უნგრეთი, 15:11), ევგენია ბრეუსი (უკრაინა, 15:14) დაამარცხა და მსოფლიოს თასი დაიმსახურა.

ამავე ჯგუფში გამოდიოდა გვანცა ზადიშვილი. პლეი ოფის პირველ წრეში მან ტაილანდელ ბუსაიავიპჰატორნს კი სძლია 15:8, მაგრამ მეორე წრეში ევგენია ბრეუსთან (უკრაინა) წააგო 3:15 და საბოლოოდ მე-9 ადგილს დასჯერდა.

**საპრიზო ადგილები.** 1. ნინა თიბილაშვილი (საქართველო), 2. ევგენია ბრეუსი (უკრაინა), 3. ჯემა კოლისი (დიდი ბრიტანეთი), ევა ანდრეა ჰაიმაში (უნგრეთი)... 9. გვანცა ზადიშვილი (საქართველო).

ეტლით მოსარგებლე მოფარიკავეთა მსოფლიოს თასის გათამაშების მთავარი მსაჯია **თათია აფციაური** – საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტი, FIE-ს არბიტრი, ეტლით მოსარგებლე მოფარიკავეთა საერთაშორისო ფედერაციის (WAS Wheelchair Fhencing) მსაჯთა კომისიის წევრი და პირველი ქართველი არბიტრი, რომელმაც ტოკიოს პარალიმპურ თამაშებზე (2020) იმსაჯა, ფარიკაობაში ოლიმპიური ჩემპიონის ვლადიმერ აფციაურის ქალიშვილი.

**სოფიკო კობიაშვილი**

◉ ბრძენთა თამაში

# ნიკოლოზ კაჭარავა: ჭადრაკი ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა

**ბოლო დროს საერთაშორისო სარბიელზე მოჭადრაკეთა არაერთი საინტერესო შეჯიბრება გაიმართა. მათ შორის ბრძენთა თამაშის გულშემატკივართა ყურადღება 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობამ და 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატმა მიიპყრო. ჩვენები ამ ტურნირებიდან თითო მედლით დაბრუნდნენ. 10-წლამდელებში ქუთაისელმა გაბრიელ გაბადაძემ 9 შესაძლებლობიდან 7 ქულას მოუყარა თავი და ვერცხლის მედალი მოიპოვა.**

იტალიაში 20-წლამდელთა მსოფლიოზე შესანიშნავად იასპარეზა თბილისელმა **ნიკოლოზ კაჭარავამ** (მწვრთნელი – დიდოსტატი მიხეილ მჭედლიშვილი). მთელი ტურნირის განმავლობაში ნიკა ლიდერთა შორის იყო. საბოლოოდ მან 11 შესაძლებლობიდან 8 ქულა მოაგროვა, სხვა ოთხი მონაწილის დარად, და დამატებითი მაჩვენებლების გათვალისწინებით მესამე ადგილი დაიკავა. არადა, რომ არა მეცხრე ტურში განცდილი მარცხი, ოქროს მედლის მოპოვებაც შეეძლო. ქართველმა საერთაშორისო ოსტატმა ბოლო ტურში იყოჩაღა – შავი ფიგურებით ცვეტან სტოიანოვს (ბულგრეთი) აჯობა და, როგორც ვთქვით, ბრინჯაოს მედალი ერგო. საგულისხმოა, რომ აქამდე მსგავს ტურნირებში მხოლოდ ორჯერ აქვთ მოპოვებული ჯილდო ქართველ მოჭადრაკეებს: 2000 წელს **ზვიად იზორია** გავიდა მესამე ადგილზე, ხოლო 2001 წელს **მერაბ გაგუნაშვილი** გახდა ვერცხლის პრიზიორი. აღსანიშნავია ისიც, რომ კაჭარავამ იტალიაში დიდოსტატის მეორე ბალი შეასრულა და რეიტინგიც 20 პუნქტით გაიმდიდრა.



ნიკოლოზ კაჭარავა და გაბრიელ გაბადაძე

აღსანიშნავია ისიც, რომ კაჭარავას მნიშვნელოვან ტურნირებში სხვა დროსაც მიუღწევია წარმატებისთვის. კერძოდ, იგი 8-წლამდელებში (2012) ევროპის ვიცე-ჩემპიონია, 10-წლამდელთა ევროპაზე (2014) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, 14-წლამდელთა მსოფლიოზე (2018) კი ვერცხლის ჯილდო დაიმსახურა.

– იტალიაში 20-წლამდელთა ჩემპიონატში მსოფლიოს უძლიერესმა ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა მოიყარეს თავი, – ამბობს ნიკა კაჭარავა. – ურთულესი ორთაბრძოლები გადავიტანე, ამიტომ მოხარული ვარ, რომ უმედლოდ არ დავრჩი.

**– განსაკუთრებით რომელი ქვეყნის წარმომადგენლებს გამოყოფდი?**

– დღეს მსოფლიოში ჭადრაკის თამაში ყველამ ისწავლა. რადგან ინტერნეტში ნებისმიერი პარტია ხელმისაწვდომია, მწვრთნელების დახმარებით თითოეული მეტოქის ტექნიკისა და ტაქტიკის, სათამაშო სტილის გამოცნობა იოლია. სიძლიერის მიხედვით კი საგრძნობლად წინ არიან რუსი, უნგრელი, აზერბაიჯანელი, ინდოელი მოჭადრაკეები, ყოველ შემთხვევაში, ნებისმიერ ტურნირზე უბრძოლველად არავინ არაფერს დაგითმობს.

**– როგორ ფიქრობ, ჭადრაკმა შენი ცხოვრება შეცვალა თუ არა?**

– სიმართლე გითხრათ, აღარც მახსოვს, ჭადრაკამდე როგორი ვიყავი. ბრძენთა თამაშის საიდუმლოებას 4 წლისა ვეზიარე. ეს გატაცება ჩემთვის პროფესიად და ცხოვრების ნაწილად იქცა, ამიტომ უჭადრაკოდ სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია.

**მარიამ ცარციძე.**

◉ ფეხბურთი

# წაუგებელი სერია შეწყდა

**საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა ვილი სანიოლის ხელმძღვანელობით ალ შარჯაში (არაბთა გაერთიანებული საამიროები) ამხანაგური მატჩი გამართა. ჩვენების მეტოქე იყო მაროკოს ნაკრები, რომელიც ყატარის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსინჯავს ძალებს.**

### მაროკო - საქართველო 3:0 (2:0)

**მაროკო**: ბუნუ, ჰაკიმი (46. მაზრაუი), ათიათ-ალალი, აგერდი, საისი (63. ელ იამიქი), ჯაბრანი, ზიეში (67. ზარური), უნაი (46. ამრაბატი), ამალა (63. შაირი), ბუფალი, ენ ნესირი (46. ჰამდალა), მწვრთნელი: ვალიდ რეგრაგი

**საქართველო:** მამარდაშვილი, კვერკველია (78. საზონოვი), კაშია, ლოჩოშვილი – გოჩოლეიშვილი, კვეკვესკირი (78. მექვაბიშვილი), აბურჯანია, წიტაიშვილი (35. შენგელია) – დავითაშვილი (62. ლობჟანიძე), კიტეიშვილი (78. ბერიძე), ვოლკოვი (62. ქვილითაია), მწვრთნელი: ვილი სანიოლი

**ბურთები:** 1:0 ენ ნესირი (5), 2:0 ზიეში (30), 3:0 ბუფალი (72-პენ).

**არბიტრი:** ა. ალ ნაქბი (საამიროები)

აღსანიშნავია, რომ ჩვენს ეროვნულ გუნდს ბევრი წამყვანი ფეხბურთელი აკლდა, მათ შორის – ხვიჩა კვარაცხელია, გიორგი ჩაკვეტაძე, გიორგი მიქაუტაძე. რომ არა ეს დანაკლისი, შესაძლოა, ანგარიში სრულიად განსხვავებული ყოფილიყო. თუმცა, ასეა თუ ისე, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 11-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა, რომელიც სარეკორდო იყო ჩვენი გუნდის ისტორიაში. მაროკო კი მსოფლიოს თასზე გაემგზავრა.

**– ჩვენი მოთამაშეები მზად არ იყვნენ უმაღლესი დონის მატჩის ჩასატარებლად,** – თქვა შეხვედრის შემდეგ სანიოლიმ. – ბევრი ფეხბურთელი გვაკლდა, ითამაშეს ახალწვეულებმა. რა თქმა უნდა, ნებისმიერი მარცხი საწყენია. გვაქვს სამუშაო, რაღაცეები შესაცვლელია.

**ლერი დარჯანია**

◉ ხელბურთი

# „მართვე“ საფრენად მზად არ აღმოჩნდა

**ამას წინათ დაიწყო 2008-2009 წლებში დაბადებულ ხელბურთელ გოგონათა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობს. მათ შორის 7 აღმოსავლეთისა და 5 დასავლეთის ზონიდან.**

შეჯიბრებაში პირველი აღმოსავლელები ჩაებნენ. განვლილი ხუთი ტური წარმატებული აღმოჩნდა გორელი ხელბურთელი გოგონებისთვის. ისინი პირველ ტურში „ფსოუს“ დაუზავდნენ – 12:12, შემდეგ ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგეს – თბილისის 53-ე სკოლის გუნდთან – 14:6, „არტემიდესა“ – 28:11 და თელაველ ხელბურთელებთან – 20:12. განსაკუთრებით საინტერესოდ წარიმართა თბილისის „მართვესთან“ შეხვედრა.

### მართვე - გორი 12:16 (7:9)

**მართვე:** ჭინჭარაული (7), ბარათაშვილი, მოსიაშვილი (1), ჯინჭარაძე (1), გუნთაიშვილი (1), ხატიაშვილი, ჯავახია (2), ტუღუში, ცერცვაძე, თანდაშვილი, ჯინჯოლია, გოგელიძე.

**გორი:** სამადაშვილი, გაზაშვილი (8), ჯანეზაშვილი (4), ელბაქიძე, ოქროპირიძე, ერისთავი (4), ბიწაძე, ჯალაბაძე, კოპაძე, ბურნაძე, მაისურაძე, ლაცაბიძე, თვალიაშვილი.

მატჩის პირველი წუთები მასპინძელთა იერიშებში გაილია და ისინი 5:0 დაწინაურდნენ. ამგვარი ჩამორჩენის მიუხედავად, გორელმა ხელბურთელებმა შეძლეს მობილიზება და პაექრობის ბედის შემოტრიალება:

– ვფიქრობ, რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ, – გვითხრა მატჩის შემდეგ გორელთა კაპიტანმა **ნატალი გაზაშვილმა,** რომელიც 8 ბურთით საუკეთესო იყო მოედანზე. – „მართვე“ ძლიერი გუნდია, მაგრამ კოლექტიური თამაშით ვაჯობეთ და გავიმარჯვეთ, რამაც ძალიან გაგვახარა. ვეცდებით, სხვა მატჩებშიც გავახაროთ ქომაგები.

გორის გუნდის მთავარი მწვრთნელი **ლაშა მოციქულაშვილი:** გოგონებმა მწვრთნელთა დავალება უნაკლოდ შეასრულეს და გავიმარჯვეთ. ჩვენი გუნდისთვის ეს მოგება მომდევნო ორთაბრძოლებისთვის კარგი მოტივაცია იქნება, რაც ძალიან გვჭირდება, რადგან მედლებისთვის ბრძოლა გვაქვს გამიზნული. საპრიზო ადგილებზე გასასვლელად არაფერს დავიშურებთ.

**მარიამ ჩოგოვაძე**





გვერდი მოამზადეს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებმა

## მეუფე შიო მუჯირი:
# ერთადერთი წყარო ნამდვილი კურნებისა, არის უფალი იესო ქრისტე!



**ერთადერთი წყარო და ძალა ნამდვილი კურნებისა და ყოველი სიკეთისა არის უფალი იესო ქრისტე,** – ამის შესახებ საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს **მიტროპოლიტმა შიომ** (მუჯირი) სამების ტაძარში ქადაგებისას განაცხადა.

**„ქრისტეს მიერ საყვარელნო მამანო, ძმანო და დანო, გილოცავთ დღევანდელ კვირა დღეს და გადმოგცემთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევას. დღეს ჩვენ მოვისმინეთ მაცხოვრის დიდებული სიტყვები სახარებიდან:** „ნუ გეშინია, შვილო, შენმა რწმენამ გადაგარჩინა შენ. წადი მშვიდობით!“ **ეს მისი ცნობილი სიტყვები განეკუთვნება არა მხოლოდ ამ სისხლმდინარე დედაკაცს, რომელიც უფალმა განკურნა, რომელიც შეეხო მისი სამოსლის კალთას და მეყსეულად განიკურნა, არამედ განეკუთვნება ყველა ადამიანს, იმიტომ, რომ ადამიანი შეიძლება სისხლმდინარე იყოს ფიზიკურად, მაგრამ შეიძლება იყოს სულიერადაც.**

ამიტომ ეს სიტყვები ეხება ყველას, ვინც ამ ცხოვრების გზაზე ჭრილობები მიიღო, ვინც მიხვდა და ვინც გრძნობს, რომ ერთადერთი წყარო და ძალა ნამდვილი კურნებისა და ყოველი სიკეთისა არის უფალი იესო ქრისტე, ვინც მიისწრაფვის ამ ზეციურ და საღვთო მკურნალთან, რომელიც დევნის ეშმაკებს, რომელიც თვალს უხელს ბრმებს და რომელიც მკვდრებს აღადგენს, ვინც მიისწრაფვის მასთან და ვისაც სურს, შეეხოს მისი სამოსლის კალთას.

**აი, სწორედ ასეთი შეხებით მიდის მასთან ეს სისხლმდინარე დედაკაცი და ხალხმრავლობა იყო. რადგან ამ დედაკაცს ეგონა, რომ მისი სნეულებაც, მისი ასე ზურგიდან მიპარვაც და სამოსლის კალთაზე შეხებაც, მისი სიხარულიც შეუმჩნეველი დარჩებოდა ხალხისთვისაც და მაცხოვრისთვისაც, მაგრამ უეცრად მას ესმის შეკითხვა:** „ვინ შემეხო მე?“ **წარმოიდგინეთ ამ ქალის მღელვარება, მან ალბათ იფიქრა: „იქნებ რაიმე ცუდი ჩავიდინე, იქნებ არასწორად მოვიქეცი, იქნებ რაიმე სასჯელი მელის ახლა, ასე რომ მოვიქეცი?“ იგი დაიჩოქებს მაცხოვრის წინაშე და ყველაფერს უამბობს. პასუხად ესმის ეს სიტყვები: „ნუ გეშინია, ასულო, შენმა რწმენამ გადაგარჩინა შენ!“ აი, რა დიდი ძალა აქვს ქრისტეს სამოსლის კალთაზე შეხებას. ის სამოსელი, რომლითაც ჩვენი ყოვლისშემძლე შემოქმედი შემოსილია, არის მთელი სამყარო.**

**გახსოვთ დავით წინასწარმეტყველის სიტყვები? –** „შეიმოსე ნათელი, ვითარცა სამოსელი“. **ე.ი. უფლის სამოსელი არის მთელი სამყარო, ეს არის ციური სხეულები, ეს არის ბუნების ყველა მოვლენა, ეს არის მცენარეები, ეს არის ვარსკვლავები, ეს არის ყვავილები, ეს არის პირუტყვები თუ ადამიანები, ყველა გახლავთ აი, ასე ნაირფერად მორთული სამოსი უფლისა, რომელსაც, სამწუხაროდ, ჩვენ, როგორც წესი, ვუმზერთ და ვეხებით მოკრძალების, მოწიწებისა და აღელვების გარეშე, ვერ ვაცნობიერებთ მის სიდიადეს და გონებისთვის მიუწვდომელ მშვენიერებას.**

აი, როდესაც მაცხოვარმა განკურნა ეს სისხლმდინარე ქალი, მაშინ იქ იმყოფებოდა სინაგოგის წინამძღვარი იაიროსი, რომელსაც შვილი უკვდებოდა და ამის გამო მიმართავს მაცხოვარს, მაგრამ მოდიან მისი მსახურები და ეტყვიან, რომ ეს გოგონა უკვე გარდაიცვალა და მოძღვრის შეწუხება საჭირო აღარ არის. უფალმა რომ დაინახა იაიროსის მწუხარება, ასევე საოცარი სიტყვები უთხრა მას: „ნუ გეშინია, მხოლოდ ირწმუნე და განიკურნება შენი ასული“.

როგორი ნათელი და სანუგეშო სიტყვებია, ძვირფასო ძმებო და დებო, როგორი ნუგეშია, როგორი შეწევნაა ყველა ადამიანისთვის დაეჭვების თუ მწუხარების, სევდიანობის თუ სასოწარკვეთილების წუთებში, რომ „მხოლოდ გწამდეს, მხოლოდ ირწმუნე“ და უფალი მუდამ შენთან იქნება, არასდროს მიგატოვებს და იგი ყოველთვის მზად არის, რომ ყველას დაეხმაროს და შეეწიოს!

უფალი მიდის იაიროსის სახლში და იქ წარმოითქმება კიდევ ერთი სიტყვა, რომლითაც ოდესმე უფალი მკვდრეთით აღადგენს ყველა ადამიანს საფლავებიდან. იგი ეტყვის ამ მკვდარ გოგონას: „ყრმაო, აღდეგ!“ შემდეგ ლუკა მოციქული მოგვითხრობს, რომ „და დაუბრუნდა მას სული“. „დაუბრუნდა“ ნიშნავს, რომ სული ცოცხალი იყო, დროებით იყო განშორებული სხეულისგან და ეს სული ბრუნდება სხეულში. ეს გოგონა მაშინვე წამოდგება, გაცოცხლდება და მისი გაცოცხლების დასტურად და ნიშნად უფალი ბრძანებს, რომ მას საჭმელი მოუტანონ.

**აი, ძვირფასო ძმებო და დებო, ასეთი შესანიშნავი სახარება წავიკითხეთ დღეს ჩვენ და ვეცადოთ, ღვთის მადლით, რომ გვახსოვდეს ეს სამი სიტყვა, დღეს უფლის მიერ წარმოთქმული, და ჩვენს გულებზე სალბუნად დავიდოთ:** „ნუ გეშინია, შვილო, შენმა სარწმუნოებამ გადაგარჩინა შენ“, „ნუ გეშინია, მხოლოდ ირწმუნე“ და „ყრმაო, აღდეგ!“ ამინ“, **– განაცხადა მეუფე შიომ.**

# გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის ინიციატივით...

**ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის ინიციატივით, სტუდენტური სტიპენდიების ხელმოწერის ცერემონიალი გაიმართა.**

ფონდის სტიპენდიატი გახდა პედაგოგიური ფაკულტეტის 10 სტუდენტი. გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის სასტიპენდიო პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს პედაგოგის პროფესიის პოპულარიზაციას.



# დედამიწის მოსახლეობამ რვა მილიარდს მიაღწია!

**პირველი ადამიანები აფრიკაში, დაახლოებით ორი მილიონი წლის წინ გამოჩნდნენ და მას შემდეგ პლანეტა დედამიწის მოსახლეობა მუდმივად იზრდება, თუ არ ჩავთვლით დროებით პაუზებს.**

**2022 წლის 16 ნოემბერს, მსოფლიოს მოსახლეობა საეტაპო ნიშნულს, რვა მილიარდი გახდა. დღეს კი გთავაზობთ კაცობრიობის ზრდის მოკლე მიმოხილვას.**

### პირველი ადამიანები

**ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ადრეული ადამიანების უძველესი ნამარხები 2,8 მილიონი წლის წინანდელია და აღმოსავლეთ აფრიკაში აღმოაჩინეს.**

თუმცა, დედამიწის მოსახლეობის რაოდენობრივი მაჩვენებლები მე-19 საუკუნემდე აბსოლუტურად პირობითი, არასანდო იყო.



ერთი, რაც ვიცით, ის არის, რომ ჩვენი წინაპრები მონადირე-შემგროვებლები იყვნენ და უფრო ცოტა შვილები ჰყავდათ, ვიდრე მოგვიანებით პოპულაციებს.

პლანეტის მოსახლეობა მწირი იყო ნაწილობრივ იმიტომაც, რომ მონადირე-შემგროვებლებს საკუთარი თავის გამოსაკვებად ბევრი მიწა სჭირდებოდათ – ერთ ადამიანს დაახლოებით 10 კვადრატული კილომეტრი. მსოფლიო მოსახლეობა დროთა განმავლობაში იზრდებოდა, მაგრამ ძალიან, ძალიან ნელა.

### ახალშობილთა პირველი ბუმი

**ნეოლითურ ხანაში, ძველი წელთაღრიცხვის დაახლოებით 10 000 წლისთვის, სოფლის მეურნეობის გამოჩენამ მოსახლეობის რაოდენობაში ჩვენთვის ცნობილი პირველი ნახტომი მოიტანა.**

სოფლის მეურნეობამ განაპირობა მომთაბარე ხალხის ერთ ადგილას დასახლება, საკვების შენახვის შესაძლებლობა, რამაც თავის მხრივ, შობადობის მაჩვენებლის ზრდა გამოიწვია.

**„დედებს შვილების სხვადასხვა საკვებით კვება შეეძლოთ, რამაც ძუძუდან მოშორების პროცესი დააჩქარა და შეამცირა მშობიარობებს შორის მანძილი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ერთ ქალს უკვე ერთ ბავშვზე მეტი ჰყავდა“,** – ამბობს საფრანგეთის დემოგრაფიული კვლევების ინსტიტუტის (INED) მკვლევარი ერვე ლე ბრა.

თუმცა, მუდმივ საცხოვრებელთა ჩამოყალიბებამ ასევე მოიტანა საფრთხეები; თუნდაც ის, რომ ცხოველთა მოშინაურების გამო, ადამიანებს მათგან ახალი, მომაკვდინებელი დაავადებები ედებოდათ.

განსაკუთრებით მაღალი იყო ახალშობილთა სიკვდილიანობა – ბავშვების მესამედი ერთი წლის ასაკამდე კვდებოდა, კიდევ მესამედიც 18 წლის ასაკამდე.

საფრანგეთის დემოგრაფიული კვლევების ინსტიტუტის შეფასებით, ძვ. წ. 10 000 წლისთვის, მსოფლიოს მოსახლეობა დაახლოებით ექვს მილიონ ადამიანს ითვლიდა, ძვ. წ. 2000 წლისთვის 100 მილიონს გადააჭარბა, ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში კი 250 მილიონს.

### შავი სიკვდილი

**შავმა ჭირმა, იმავე შავმა სიკვდილმა, შუა საუკუნეებში მოსახლეობის რაოდენობის ზრდა მოულოდნელად შეაჩერა.**

ცენტრალურ აზიაში, თანამედროვე ყირგიზეთის ტერიტორიაზე გამოჩენილი პანდემია ევროპას 1346 წელს მისწვდა გემებით, რომლებსაც ტვირთები შავი ზღვის გავლით მიჰქონდა.

სულ რაღაც რვა წელიწადში, დაავადებამ ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის მოსახლეობის 60 პროცენტამდე მოსპო.

შავი ჭირის გამო, 1300-1400 წლებში, მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა 429 მილიონიდან 374 მილიონამდე შემცირდა.

პლანეტის მოსახლეობის რაოდენობის დროებით შემცირება იქამდე სხვა მოვლენებმაც გამოიწვია; მაგალითად, იუსტინიანეს ჭირმა, რომელიც ორი საუკუნის განმავლობაში, 541-767 წლებში მძვინვარებდა და დასავლეთ ევროპაში შუა საუკუნეების დასაწყისში მიმდინარე ომებმა.

### რვა მილიარდი!

**მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, მოსახლეობის რაოდენობამ ნამდვილი აფეთქება დაიწყო; ამის მიზეზი დიდწილად გახდა თანამედროვე მედიცინის განვითარება და სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, რამაც მსოფლიოს საკვებით მომარაგება გააძლიერა.**

1800 წლიდან დღემდე, მსოფლიო მოსახლეობა რვაჯერ გაიზარდა, დაახლოებით ერთი მილიარდიდან რვა მილიარდამდე.

გრუბეზის განცხადებით, ამაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ვაქცინების შექმნამ, განსაკუთრებით ყვავილის ვაქცინამ, რომელმაც სრულად მოსპო ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მკვლელი დაავადება.

1970-იან და 1980-იან წლებში კიდევ ერთი მცირე რევოლუცია მოხდა, ამჯერად გულის დაავადებათა მკურნალობაში, რამაც 60 წელს გადაცილებულ ადამიანებში სიკვდილიანობა შეამცირა.

მომზადებულია
Agence France-Presse-ის მიხედვით.

**მიხეილ ჭაბუკაშვილი**

# რაბათის ციხეზე რეზერვისტებმა ფიცი დადეს

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ტერიტორიული რეზერვის პროგრამას განაგრძობს. ეროვნული გვარდიის მე-10 კადრირებულ ბრიგადას ახალი ქვედანაყოფი შეემატა. 104-ე ბატალიონი პირველად ჩამოყალიბდა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის რეზერვისტებით დაკომპლექტდა.**

რეზერვისტების ინტენსიური საბრძოლო მომზადება წლის განმავლობაში 45 დღემდე პერიოდს მოიცავს და თანაბრად ნაწილდება 12 თვეზე. მომზადების კურსის მთავარი მიზანია რეზერვისტებისთვის ქვედანაყოფის საველე შეკრებებზე რეალური საბრძოლო უნარების შესწავლა. ტერიტორიული რეზერვის გავლის პერიოდში რეზერვისტები უზრუნველყოფილნი იქნებიან სოციალური და სამართლებრივი დაცვით.

რეზერვში მიღება ნებაყოფლობითი და ანაზღაურებადია. ტერიტორიულ რეზერვში მიიღებიან თბილისის, მცხეთის, კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს, აჭარის, გურიისა და ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები 18-დან 51 წლის ჩათვლით, მათ შორის სტუდენტები, 18-დან 22 წლის ჩათვლით. ტერიტორიულ რეზერვში ჩარიცხულ მოქალაქეებს 4-წლიანი კონტრაქტი გაუფორმდებათ.

მათი ანაზღაურება ყოველთვიურად წოდებრივი სარგოს 20% შეადგენს, ხოლო ქვედანაყოფში ყოფნისას ისინი ხელფასს სრულად აიღებენ. რეზერვში ჩარიცხული რეზერვისტის მინიმალური წლიური ანაზღაურება 2700 ლარს შეადგენს.



# ჩვენი სტუმარია ცნობილი ფოტოგრაფი ისრაელიდან

**პრეს-ტურის ფარგლებში ფოტოგრაფი თბილისს, თელავს, სიღნაღს, უდაბნოს და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს ეწვია. დორ კედმიმ ტურისტულად საინტერესო ადგილები გადაიღო. ცნობილი ფოტოგრაფი ისრაელის პოპულარული გამოცემისთვის „HAARETZ National Newspaper“ ფოტო კოლაჟს მოამზადებს, რომელსაც საქართველოს ტურისტული პოტენციალის ამსახველი სტატიებისთვის გამოიყენებენ.**

ტურის მიზანია ისრაელში საქართველოს ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაცია და მოგზაურთა ნაკადის გაზრდა.





# ჯო ბაიდენის შვილიშვილი დაქორწინდა

**აშშ-ის პრეზიდენტის, ჯო ბადენის შვილიშვილის ნაომი ბაიდენისა და პიტერ ნილის ქორწილი თეთრ სახლში გაიმართა.**

28 წლის ნაომი ბაიდენი პროფესიით იურისტია. წყვილმა ერთმანეთი 2018 წელს გაიცნო.

# ბერლუსკონი მოწმის მოსყიდვის საქმეში გაამართლეს

**იტალიის სასამართლომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი არასრულწლოვანთა პროსტიტუციის საქმეზე მოწმის მოსყიდვის საქმეში გაამართლა.**



86 წლის ბერლუსკონის ბრალი მოსყიდვის მიზნით იტალიელ მომღერალ მარიანო აპიჩელასთვის 157 000 ევროს გადახდაში ედებოდა, რომელმაც გახმაურებულ საქმეზე ჩვენება მის სასარგებლოდ მისცა. საქმის მასალების მიხედვით, სილვიო ბერლუსკონიმ 2010 წელს გამართულ ერთ-ერთ წვეულებაზე მიიწვია მაროკოელი ღამის კლუბის მოცეკვავე, 17 წლის კარიმა ელ მაჰრუგი, რომელსაც სექსუალური მომსახურების სანაცვლოდ ფული გადაუხადა. როგორც მოცეკვავემ მოგვიანებით სასამართლოზე განაცხადა, მას სექსუალური კავშირი იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრთან არ დაუმყარებია, თუმცა ფული აიღო.

**„ეს იყო უნაკლო გადაწყვეტილება, რადგან მოწმის მოსყიდვის შესახებ რაიმე მტკიცებულება არ არსებობდა“,** — განუცხადა ჟურნალისტებს ბერლუსკონის ადვოკატმა ფრანკო კოპიმ..



# რონალდუ და მესი რეკლამაში გადაიღეს

**ცნობილი ფეხბურთელები, კრიშტიანუ რონალდუ და ლიონელ მესი Louis Vuitton-ის რეკლამაში გადაიღეს. ფოტო ფრანგული მოდის სახლმა გამოაქვეყნა.**

ფოტოზე სპორტსმენები ბრენდის ჩემოდანზე ჭადრაკს თამაშობენ. **„გამარჯვება გონების მდგომარეობაა“,** — ასეთია აღწერა. ფოტოს ავტორი ცნობილი ფოტოგრაფი ენი ლეიბოვიცია.

# „გარდაცვლილი“ შვილი 17 წლის შემდეგ... გამოჩნდა

**ჩინეთის ძიანსუს პროვინციაში მცხოვრება ქალმაა, ჩჟან ცაიხუნმა აღმოაჩინა, რომ 17 წლის წინ „გარდაცვლილი“ მისი ვაჟი ცოცხალია. ორსულად მყოფმა ცაიხუნმა შვილი თავისი მამიდაშვილის სახლში გააჩინა, ვინაიდან ყოფილი ქმრის ეშინოდა. მშობიარობის დღეს რძალმა ცაიხუნს უთხრა, რომ მისი შვილი ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემებით დაიბადა.**

ცაიხუნი აცხადებს, რომ გართულებული მშობიარობის გამო საწოლიდან ვერ დგებოდა და არ ჰქონდა საბაბი, რძლის სიტყვებში ეჭვი შეეტანა. რძალმა უთხრა, რომ ჩვილს ორივე ფეხი პარალიზებული ჰქონდა, და დაარწმუნა ცაიხუნი, შვილზე უარი ეთქვა. მოგვიანებით მამიდაშვილმა ცაიხუნს უთხრა, რომ ახალშობილი გადაცივების გამო გარდაიცვალა.

**17 წლის განმავლობაში ცაიხუნი დარწმუნებული იყო, რომ მისი შვილი გარდაცვლილი იყო, თუმცა სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა, რომ ბიჭი აბსოლუტურად ჯანმრთელია და სკოლაში სწავლობს. ცაიხუნმა იპოვა მოზარდი, რომელიც ძალიან ჰგავდა მის ყოფილ ქმარს, და გადაწყვიტა დნმ-ის ტესტი ჩაეტარებინა. შედეგებმა აჩვენა, რომ მოზარდი ცაიხუნის შვილია. როგორც აღმოჩნდა, მამიდაშვილმა მას ახალშობილი მოპარა, შემდეგ კი ბავშვი ცაიხუნის რძლის დამ იშვილა.**

# სიკვდილით დასჯა განაახლეს და... დამნაშავეებიც გამოჩნდნენ

**ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოკლაჰომაში სიკვდილით დასაჯეს კაცი, რომელმაც 1993 წელს მეგობარი ქალის შვილი, 3 წლის ბავშვი წამებით მოკლა.**

მას შემდეგ რაც, 2021 წლის ოქტომბერში ოკლაჰომას შტატში სიკვდილით დასჯა განაახლეს, რიჩარდ სტივენ ფერჩაილდის სიკვდილით დასჯა უკვე მეშვიდე შემთხვევაა. სიკვდილით დასჯის საინფორმაციო ცენტრის თანახმად, შეერთებულ შტატებში, მისურიში, ოკლაჰომასა და აიდაჰოში კიდევ სამი სიკვდილით დასჯა იგეგმება 2022 წლის ბოლომდე. ფერჩაილდს 17 ნოემბერს 63 წელი შეუსრულდა, ადგილობრივი დროით 10:10 საათზე ოკლაჰომას შტატის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სამი წამლის ლეტალური კომბინაციის მიღების შედეგად 10:24 საათზე ის გარდაცვლილად გამოაცხადეს. ფერჩაილდმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ადვოკატებს და ციხის თანამშრომლებს მადლობა გადაუხადა. მან მის მიერ მოკლული ბავშვის ოჯახს ბოდიში მოუხადა. **„დღეს ადამის დღეა, სამართლიანობა ადამისთვის“,** — თქვა ფეირჩაილდმა.

# ყველაზე დიდი ტერფის მქონე




**აშშ-ში, ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში მცხოვრები ტანია ჰერბერტი, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც ყველაზე დიდი ტერფის მქონე ქალი.**

ქალის სიმაღლე 2 მეტრზე მეტია. ის 50 ზომა ფეხსაცმელს ატარებს, მისი ტერფის სიგრძე კი 33 სანტიმეტრია. როგორც ჰერბერტი ამბობს, ის ფეხსაცემელს ონლაინ ყიდულობს, რადგან მაღაზიებში მისი ზომა არ იყიდება.

# დემონსტრაცია სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ

**საფრანგეთში 90-მდე ასოციაცია, პროფკავშირი და მემარცხენე-პარტიების წარმომადგენლები იუსტიციის სამინისტროს უფუნქციობაში სდებენ ბრალს და დამნაშავეთა დაუსჯელობას აპროტესტებენ.**

დემონსტრაციის მონაწილეები ასევე მოითხოვენ მრგვალი მაგიდის მოწვევას ახალი დებულებების განსასაზღვრად, რომელთა მიღებაც ქალების დასაცავად აუცილებელია. აქცია ფემიციდის მსხვერპლ იმ 100 ქალის ხსოვნას მიეძღვნა, რომელიც მხოლოდ ამ წლის განმავლობაში მოკლეს.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 23 ნოემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7188; ევრო - 2.8213;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2419;
100 რუბლი - 4.4986; თურქული ლირა - 0.1460;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6022;
1000 სომხური დრამი - 6.8714

**ამინდი 21 ნოემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +4, | დღე | +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე | +17 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +10, | დღე | +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე | +21 |
| თბილისი: | ღამე | +8, | დღე | +19 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge